# საერთო გაზეთი

№31 (388) • 17 აგვისტო, 2016 წ.• ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები





## რამდენი კონსტიტუცია შეიძლება არსებობდეს ერთ საქართველოში?

დ. უსუფაშვილის
კონსტიტუცია



თ. მეჭიაურის
კონსტიტუცია



ნ. ბურჯანაძის
კონსტიტუცია



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

მარგველაშვილმა პოლიტიკური კარიერა დაასრულა...



## სააკაშვილის ოდესური „ოდისეა“

**სკანდალური ინტერვიუ**

ოდესელ ქალბატონთან, რომელიც ოდესის ქართველი გუბერნატორის შესახებ შემაძრწუნებელ ფაქტებს გვიმხელს



სააკაშვილს ისეთი ბანდიტები ჰყავს გარშემო შემოკრებილი, მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავს, ამიტომაც გთხოვეთ ჩემი ვინაობის დამალვა

## ხუ-ხუ-ხუ ხუხაშვილს და ხა-ხა-ხა — ჩვენ!

## მეორედ მოსვლა „ნაციონალებისთვის“

## რატომ „დამოყვრდნენ“ რუსეთი და თურქეთი?

## ჰოვარდ ჰიუზი - მფრინავი მილიარდერი

**ვახტანგ ხარჩილავა:**

# მეორედ მოსვლა „ნაციონალებისთვის“

— არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნებიდან“ მიდის. თუ ის წავა, ვინ რჩება იქ? — არავინ! ამიტომ ნუ მისცემთ ხმას „ქართულ ოცნებას“, ჩვენ მოგვეცით ხმაო, — დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა ამას წინათ დავით უსუფაშვილმა, აწ უკვე ოპოზიციაში გადასულმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

— ივანიშვილი მიდის და გვიტოვებს ომს! — ამას ვალერი გელბახიანი აანონსებს, რომელიც კარგა ხანია პოლიტიკური წინასწარმეტყველის როლის მორგებას ცდილობს და შიგადაშიგ ისეთი კოშმარული „ხილვებით“ გვზაფრავს, შეიძლება იფიქრო, რომ აპოკალიფსი გვიახლოვდება.

„ქართული ოცნებიდან“ და, შესაძლოა, საქართველოდანაც ბიძინა ივანიშვილის წასვლის შესახებ აგორებულმა პიარკამპანიამ ის წლები გამახსენა, როცა „ნაცმოძრაობა“ პერმანენტულად ავრცელებდა ჭორებს, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წავიდა... აი, გუშინ უკვე გადაკვეთა საზღვარი და წავიდაო, — ირწმუნებოდნენ ნაციონალები და სიხარულს ვერ მალავდნენ.

გასაკვირი ის არის, რომ დღესაც და ადრეც ინფორმაციებს ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ ერთი და იგივე გაზეთი ავრცელებდა, რაც




იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“ და ეს გამოცემა დღემდე მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ერთი წლის წინათ კიდევ ერთი გაზეთი გვიმტკიცებდა, რომ ივანიშვილი ყველა თავის ბიზნესს აჩერებდა და საქართველოდან მიდიოდა.

როგორც ბოლო ხანებში გაირკვა, ეს გაზეთიც „ნაციონალების“ ფარული ბეჭდვითი ორგანო იყო, რის შესახებაც ახლა უკვე ყველამ იცის.

ასე რომ, ზღაპრებს ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ ადრეც ნაციონალები ავრცელებდნენ და დღესაც ნაციონალები ავრცელებენ, თუმცა დღეს ახალი მოკავშირეები გამოუჩნდათ უსუფაშვილების, გელბახიანების, ხუხაშვილების და კიდევ სხვა ფარისევლების სახით.

—ივანიშვილი მიდის, ესე იგი, სააკაშვილი მოდის! — ასეთია ამ მზაკვრული და ქვებუდანური ჭორის ქვეტექსტი, რომელიც პირველ ყოვლისა, ნაკლებად ინფორმირებული ამომრჩევლის დეზორიენტაციაზეა გათვლილი.

სირცხვილი არ არის, ამ ფარისევლურ კამპანიაში ის ადამიანიც რომ ურევია, რომელიც, წესით და რიგით, მთელი ცხოვრება ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მადლიერი უნდა ყოფილიყო?

— კაცია-ადამიანი?! — სწორედ ასეთებზე და ამნაირებზე თქვა ილია ჭავჭავაძემ, თუმცა სულ დამავიწყდა, რომ ილია მისთვისაც და მისი პარტიის სხვა წევრებისთვისაც სულაც არ არის ავტორიტეტი.

დარწმუნებული ვარ, ახლაც ის მოხდება, რაც წლების წინათ მოხდა, როცა „ბიძინა მიდის! ბიძინა წავიდა!“-ს ყვიროდნენ გახარებული ნაციონალები და ამ დროს ბიძინა კი არ წავიდა — მოვიდა!

2016 წლის 8 ოქტომბერი ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლა იქნება ნაციონალებისთვის.

2016 წლის 8 ოქტომბერი 2012 წლის 1 ოქტომბერს გარდაცვლილი და აქამდე დაუმარხავი „ნაცმოძრაობის“ დასაფლავების დღე იქნება და რამდენიც არ უნდა იფარისევლონ, რამდენი ჭორიც არ უნდა გაავრცელონ თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებებით, უკვე ხრწნაშეპარული გვამი აუცილებლად მიბარდება მიწას.

---

# ხუ-ხუ-ხუ ხუხაშვილს და ხა-ხა-ხა — ჩვენ!

წვიმიანი ამინდია.

ნასვამი გალაკტიონი გუბეში ზის და პაპიროსს აბოლებს.

ამ სურათის შემსწრე ახალგაზრდა პოეტი გიგლა ხუხაშვილი ფრიად შეწუხდა, პოეტთან მივიდა და ჭკუის დარიგება დაუწყო: თქვენ დიდი პოეტი ხართ, გენიალური პოეტი, მთელი ქვეყანა გიცნობთ, ადექით, სირცხვილია, გუბეში რომ ზიხართო.

— ხა, ხა, ხა, — სიცილი აუტყდა პოეტს.

მეტი დამაჯერებლობისთვის გიგლამ ახალი არგუმენტის მოშველიება სცადა:

— მეც პოეტი ვარ, ბატონო გალაკტიონ, გიგლა ვარ, ხუხაშვილი...

— ხუ, ხუ, ხუ, — მთლად ჩაბჟირდა გალაკტიონი.

კეთილი კაცი იყო ცხონებული გიგლა და ეს ამბავი სიკეთით მოუვიდა, თორემ კაცმა რომ თქვას, რა ხუხაშვილის საქმე იყო გალაკტიონი გუბეში მოისურვებდა ჩაჯდომას თუ გუბის ნაპირას? — რაც უნდოდა, იმას აკეთებდა და სხვისგან ჭკუის სწავლება არ სჭირდებოდა.

დრო გავიდა და საქართველოს გუბიდან ამოყვანის მეორე სპეციალისტიც გამოუჩნდა და ეს მეორეც გვარად ხუხაშვილია.

გია ხუხაშვილი — უნივერსალური, ბუნებაში არსებული ყველა დარგის „ექსპერტია“ და, რაც



უნდა ჰკითხო, რაზეც არ უნდა ჰკითხო, ყველაფერზე ექსპერტული პასუხი აქვს.

გია ხუხაშვილი — ექსპერტთ-ექსპერტი, მისი აზრით, განსაკუთრებული აქტიურობით ასპარეზზე მაშინ ჩნდება, როცა ქვეყანა გუბეში, უფრო ზუსტად, ჭაობში ზის და იქედან მისი ამოყვანაა საჭირო.

ხუხაშვილი — ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანის ექსპერტობასაც ისე ჩემულობს, თითქოს ჭაობიდან ამოყვანის სპეციალობის რომელიღაც ფაკულტეტი ჰქონდეს წითელ დიპლომზე დამთავრებული.

— რა ამოყვანა, რისი ამოყვანა? ვითომ ამოჰყავს, იმ დროს ძირავს... ეგ ჩაძირვის სპეციალისტია სინამდვილეშიო, — თქვა ერთმა კაცმა, ასევე ექსპერტმა.

მეორე ექსპერტი, რომელსაც ყელში ამოუვიდა ხუხაშვილის იონები, ყელში წვდა თურმე ყველაფრის მცოდნე და ყველაფერში ცხვირის ჩაყოფის მოყვარულ ხუხაშვილს და იქ დამსწრეებს რომ არ ემარჯვათ, ახრჩობდა — შენ ან სულელი ხარ, ან შემოგზავნილიო.

ძნელი დასადგენია, ვისგან უნდა იყოს ხუხაშვილი შემოგზავნილი, როცა იქაც კი შეგზავნილია, საიდანაც სხვაგან არის შეგზავნილი.

რაც შეეხება სისულელეებს, სისულელეებს მართლაც ბევრს ამბობს ეს კაცი, მაგრამ ძალიან მიმზიდველად კი ამბობს — დაჯდება ამა თუ იმ გადაცემაში და ლაპარაკობს და ლაპარაკობს, თითქოს ნირვანაშია, ხილვები აქვს და ხილვების შინაარსს ჰყვება.

— წავედი მე, აქ რაც შემეძლო, გავაკეთე, ახლა ჩემს ინსტიტუტში წავალ და „ქართული ოცნების“ მიმართ მომავალში შეიძლება კრიტიკულიც ვიყოო, — განაცხადა ხუხაშვილმა.

არ გაგიკვირდეთ, ცოტა ხანში ხუხაშვილი რევანშისტების გვერდითაც იხილოთ და ახლა იქიდან შემოგვძახოს: — ნუ ზიხართ ჭაობში, ხუხაშვილი ვარ, მე, ხუხაშვილი, ჭაობიდან ამოყვანის სპეციალისტი, მენდეთ და მე ამოგიყვანთ მშრალზეო.

არადა, როგორც ვთქვით, ამოყვანის კი არა ჩაძირვის სპეციალისტია ეს ხუხაშვილი, ჩაძირვის და ადამიანების მშრალზე დატოვების სპეციალისტი.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# რამდენი კონსტიტუცია შეიძლება არსებობდეს ერთ საქართველოში?

## ტაქსის მძღოლების „კუმისელი მოჩვენება“ თინა და „ბრძენი“ დავითი, რომელიც შიგადაშიგ ბევრ სისულელეებს ამბობს ხოლმე














რესპუბლიკელები არც ისე ბევრი არიან, რომ ისინი ჯგუფებად დავყო და ცალ-ცალკე ვისაუბრო მათზე, მაგრამ თინათინ ხიდაშელისა და დავით უსუფაშვილის გამოყოფა მაინც მომიწევს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი წინასაარჩევნოდ სუპერაქტიური გახდა... პოსტს-პოსტზე დებს, კომენტარს-კომენტარზე... თუ ვინმემ პოსტზე მწყრალად უპასუხა, ან თავს ესხმის, ან ამუნათებს... ან როგორ სცალია ამდენი პოსტის საწერად, აკი დღეში 7-8 ტაქსისტს მაინც ვხვდები და ვეკამათები, თუ, მეკამათებაო? აკი, უამრავ ამომრჩეველს ვესაუბრებიო და ამ ფეისბუქიზე მესიჯობისთვის როგორღა იცლითო, ქალბატონო თინათინო?

მაგრამ, ქალბატონი თინათინი არ ნებდება, უკანასკნელ ძალებს იკრებს და მაინც დებს პოსტებს: მე, თინა ხიდაშელი, ამ საღამოს ამა და ამ არხზე ვიქნები და მიყურეთო, დავით უსუფაშვილმა ამა და ამ ეთერში ესა თქვა და უსმინეთო... დავით უსუფაშვილმა იმას ასე უპასუხა და თინათინ ხიდაშელმა ასე გასცა პასუხი ყოფილ თანაგუნდელებსო... როლში ისე შეიჭრა, რომ საკუთარ თავზეც კი მესამე პირში საუბრობს... მოკლედ, თინა ხიდაშელისა დავით უსუფაშილის ინტერვიუებითა და გამონათქვამებით წაგვლეკა, წაგვლეკა და მერე ამაყად ჩამოგვძახა:

„დილა მშვიდობისა რუსული ჯარის დაკანონება/რუსულ პენსია შეპირებულო ერო ჩემო!

დილა მშვიდობისა გამო-მურუსებულო სასამართლო!“...

უგრძვნია ქალბატონ თინას, უგრძვნია... გაურითმია კიდეც... ჰოი, ერო ჩემო!... მართალია, პუნქტუაციასთან გვქონია საქმე მწყრალად, მაგრამ მომავალი არჩევნებისთვის მაგასაც დაამხეცებს...

ანუ, ერს და სასამართლოს მოგვესალმა, ქალბატონი თინათინი... ერს და სასამართლოს... ბერი გამორჩა და ჯარისკაცი... დაღლილია ეტყობა, ხუმრობა საქმე ხომ არ გახლავთ ამ თაკარა მზეში პოსტების წერა... არა უშავს, რომ ბერი და ჯარისკაცი გამორჩნდა, მთავარია ერი არ ავიწყდება და მურუსიძე... მურუსიძე ახსოვს ძილშიც კი...

რესპუბლიკელები რომ გავაღვიძოთ, ჩაგვირაკრაკებენ: მურუსიძის გამო-მურუსებული სასამართლოო... ისე, ეს გამო-მორუსებული ტირით რატომ გამოყავით? რამეს მიგვანიშნებთ, ვითომ? რამე არაკორექტულს? ქალბატონი თინათინი? თავდაცვის ყოფილი მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე? რა ვიცი, რა ვიცი...

ჰოდა, ერი და გამო-მურუსებული სასამართლო დაგიბრუნებთ, ალბათ, პასუხს, მანამდე კი, მე, რიგითი ჟურნალისტი გიპასუხებთ სალამზე....

დილა მშვიდობისა, ქალბატონო თინა, ტაქსის მძღოლების „კუმისელო მოჩვენებავ“, დავით უსუფაშვილის ერთგულო თანამეცხადრევ და დავით უსუფაშვილის, როგორც პოლიტიკოსის გამონათქვამებისა და ინტერვიუების ერთადერთო გამზიარებელო...

დილა მშვიდობის, ბატონო დავით, გამო-მედროვებულო ბატონო დავით...

დილა მშვიდობის რესპუბლიკელებო, არჩევნებში ოპოზიციონერო და არჩევნებიდან არჩევნებადმე ვინმეს შეკედლებულო პარტიავ...

დილა მშვიდობისა, ქალაბოტო თინა და ბატონო დავით... დილა მშვიდობისა და მშვიდობა და მოთმინება ახლა გჭირდებათ, თუ გჭირდებათ... რადგან, მართლაც ძალიან ძნელია, ასე, ერთ მშვენიერ დილას, გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ თურმე, სულ სხვანაირ საქართველოში ცხოვრობდით, თურმე, ეს ოთხი წელი ვერ ამჩნევდით ამ სულ სხვანაირ საქართველოს... თითქოს, არც გიცხოვრიათ ეს ოთხი წელი... თითქოს, არც მინისტრი იყავით, არც პარლამენტის თავმჯდომარე... თითქოს, მაშინ არ არსებობდა მურუსიძე, არც ნარკოპოლიტიკა, რომელზედაც ახლა ასე ხმაურით საუბრობთ... თითქოს, თქვენ არ იყავით ის ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის მართვის სადავეების დიდი ნაწილი ეპყრათ ხელთ...

ათი კაცი ვიყავით სულ რაღაცო... ათმა ადამიანმა რა უნდა მოახერხოსო? გული როგორ არ გიჩუყდებათო? - თვალზე ცრემლიც მადგება, ქალბატონო თინა... ეს ათი ადამიანი რომ ქვეყნის მართვაში იღებდა მონაწილეობას, არა უშავს? თან საკმაოდ მაღალი პოზიციებიდან? თქვენ იმიტომ კი არ ჩაგაბარეს სკამები, რომ გაგეთბოთ ან მოგეთბოთ... ეს პასუხისმგებლობა იყო, რომელსაც, როგორც ახლა, ახალგამოღვიძებულნი თავად ამჩნევთ, თავი ვერ გაართვით... ისე კი, ათმა ადამიანმა, ათმა გონიერმა ადამიანმა, როგორ ვერ უნდა მოახერხოს მინიმუმ 30 ადამიანისთვის თავისი გონიერი აზრის გაზიარება ოთხი წლის მანძილზე, ეგაც მაკვირვებს, მაგრამ, რაღა დროს...

ფეისბუქ-მომხმარებლები კი გაოცებულნი გიცქერენ... გვაკვირვებსო თქვენი მეტამორფოზა... ამ როლში ბევრად უკეთ გამოიყურებით, მაგრამ თქვენი „ამაგი“ არ გვავიწყდება და რა ვქნათო...

რა უნდა ჰქნათ და ხმა უნდა მოგვცეთო, იმიტომ რომ, რესპუბლიკელების მამა და ნათლიმამა გენიოსი კაციაო და ნახეთ რა მოიფიქრაო? ნახეთ, როგორ გაწირა ქვეყნისთვის თავი და რა მოითხოვაო? ნახეთ რა რისკზე წავიდა ამ წინასაარჩევნოდო?

მოკლედ, დავით უსუფაშვილმა, გადაწყვიტა მიმართოს პარლამენტის წევრებს და კონსტიტუციაში ჩაწეროს ფრაზა: „დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში“... პრინციპში, მოკლედ რა, მოკლედაც და გრძლადაც სულ ესაა...

აუჰ, ჩაწერს ახლა ამას უსუფაშვილი კონსტიტუციაში თუ არა, დავიმკვიდრებთ იმწამსვე ადგილს...

ასე ხელწამოსაკრავი თუ არის კონსტიტუცია და წამდაუწუმ თუ შეიძლება, ვისაც რა მოუნდება, მიაწეროს, რაღა იმის მიწერა არ შეიძლებოდა, რომ ოჯახი ქალის და კაცის ერთობაა?

თუ ერთის მიწერა, მეორეს უშლის ხელს?

და იმ ადამიანებს რას უშვებით, ვინც წინააღმდეგია ამ ფრაზის, ან ნეიტრალურ პოზიციაზეა, ის ადამიანები ანტიკონსტიტუციურად გამოვაცხადოთ, გავაძებოთ, ამ ისედაც დაცარიელებული საქართველოდან, თუ როგორ მოვიქცეთ?

აკი, ათი ადამიანი ვიყავით სულ რესპუბლიკელებიდან ხელისუფლებაში და რას შევცვლიდითო? აგერ, ბატონ უსუფაშვილს კონსტიტუციის შეცვლა შესძლებია და სად იყავით აქამდე?

ისე, ამ მინაწერს კონსტიტუციაზე თავის დროზე ნაცები არ ითხოვდნენ და რესპუბლიკელები არ იყვნენ წინააღმდეგნი?

ახლა მოპარეთ ნაცებს იდეა, თუ ახლა მოიწონეთ ნაცების აზრები?

ვინ უკრავს და ვინ ცეკვავს, იქნებ გაგვაგებინოთ, თორემ შორიდან ისე ჩანს, რომ რაღაც ერთადაც უკრავთ და ერთადაც ცეკვავთ და ცოტა არ იყოს, არც ლაზათიანია და არც საამაყო...

ახლა საღამოა... დილით ქალბატონი თინა ომახიანად მოგვესალმა და ღამე მშვიდობისა მე მინდა ვუსურვო თავაზიანად...

ღამე მშვიდობის, ბატონო დავით... აღარ არის ის დრო, როცა წამოიძახებდი, რუსის მტერი მე ვარ მე, აქ ვარ, აქაო და ხმას მოგცემდნენ... თუნდაც იმიტომ, რომ ყველას ახსოვს, როცა რუსის ჩექმამ 9 აპრილს რუსთაველს გადაუგრუხუნა, თქვენ მაშინ კომუნისტურ პარტიაში გაიქეცით, მიმიღეთ პარტიაში, ვიღუპებიო...

ღამე მშვიდობისა, ქალბატონო თინათინ, დრო იყო უკვე ცხვირს იქეთაც დაგენახათ რაიმე, მაგრამ პინოქიოსი არ იყოს...

ღამე მშვიდობისა, ბატონო დავით, აკი, რა პოპულისტიც იყავით, ისევ ის დარჩით... ოთხი წლის მანძილზე ერთი ინიციატივაც არ წამოსულა თქვენგან და ახლა გვაბოლებთო, შემოგითვალეს იმ ფესიბუქიდან, სადაც თქვენი პარტიული მე-უღლე გაპიარებთ...

მართალია, გვპირდებით: „სანამ მე ვარ პარლამენტის თავმჯდომარე, გიორგი კვირიკაშვილია ქვეყნის პერმიერ-მინისტრი და გიორგი მარგველაშვილი - ქვეყნის პრეზიდენტი, ჩვენ ქვეყნის ინტერესებს არ გადავაყოლებთ არაფერ სხვას“-ო, მაგრამ, ზუსტად იმის გვეშინია, თქვენ რომ ხართ პარლამენტის თავმჯდომარე და მარგველაშვილი - პრეზიდენტი, თორემ, უთქვენოდ რა გვიშავდა, ბატონო დავით... ქვეყნის ინტერესები კი თქვენთვის მწვანე კუპიურაა და საიდანაც კუპიურის სუნი მოსდის, იქეთ გხრით ნაზი ნიავი... ხვალ რომ რუსეთიდან იგრძნოთ ფულის სუნი, პირველი თქვენ დადგებით საზღვართან, პირველი თქვენ მიეგებებით რუს ჯარს და პირველი თქვენ აიღებთ რუსულ პენსიას... ამიტომ, ღამე მშვიდობისა, ბატონო დავით...

ღამე მშვიდობისა, რესპუბლიკელებო, ბოლოს როდის გახსენეთ ხიდაშელისა და უსუფაშვილის გარდა სხვანი, აღარც კი მახსოვს, მაგრამ ეს არ გახლავთ ჩემი ბრალი... არც თქვენი ბრალია, ალბათ... აკი, თქვენი ბელადის და ბელადის მუზასაც დავიწყნიხართ... ხიდაშელი თავის თავზე საუბრობს მესამე პირში, ასე ვთქვი და ასე ვიტყვიო, საუბრობს უსუფაშვილზეც, მესამე პირში, ასე თქვა და ასე იტყვისო... და მორჩა... უსუფაშვილმა კი, ამომრჩეველს მიმართა: სჯობს „რესპუბლიკურ პარტიას“ მოგვცეთ ხმა, უსუფაშვილიან, ხიდაშელიანად და ასე შემდეგო... ჰოდა, საღამო მშვიდობისა, ჩემო „ასე შემდეგ“ ხალხო... უსუფაშვილიანთ-ხიდაშელიანთ კარი კარგად გიმყოფოთ, ღმერთმა, თორემ „ა.შ“-ც აღარ დარჩებით...

**თამუნა კეშელავა**
555 47 08 04

## სკანდალური ინტერვიუ ოდესელ ქალბატონთან, რომელიც ოდესის ქართველი გუბერნატორის შესახებ შემაძრწუნებელ ფაქტებს გვიმხელს

ჩემი მეგობრის რეკომენდაციით, ოდესიდან ალექსანდრა მ. დამიკავშირდა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის „უკრაინულ ვნებებზე“ რამდენიმე საათი მესაუბრა, ასევე მიამბო უკრაინაში მიმდინარე პროცესების შესახებ და შემდეგ ინტერვიუს ჩაწერაზეც დამთანხმდა, ოღონდ ერთი პირობით – მისი ვინაობა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

– სააკაშვილს ისეთი ბანდიტები ჰყავს გარშემო შემოკრებილი, მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავს. ამიტომაც გთხოვეთ ჩემი ვინაობის დამალვა. ქვეყნის ბიუჯეტით გათვალისწინებული გაზრდილი სამხედრო ხარჯების მიუხედავად, 2014 წლის აგვისტოდან უკრაინის მოსახლეობა სპეციალურ „სამხედრო გადასახადს“ იხდის. თანხების მოძრაობას ვერავინ აკონტროლებს! ფაშისტური, „სადამსჯელო ბრიგადების“ ჯარისკაცებს უფლება აქვთ, დაპყრობილი ტერიტორიიდან“ ნებისმიერი ქონება გამოიტანონ, რასაც საჭიროდ ჩათვლიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებართვა აქვთ მოროდიორობაზე... უკრაინის მთავრობა ფრიად საინტერესო პერსონებითაა დაკომპლექტებული. ფინანსთა მინისტრი – ნატალია იარესკო, დაბადებული აშშ-ში, ილინოისის შტატში. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლა. იგი ბოლო დრომდე აშშ-ის მოქალაქე იყო. უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი – „ჰაბარდის სწავლების“ სექტის მიმდევარია. დაამთავრა „დიანეტიკის სკოლის“ კურსები, რომლის სახელითაც ფუნქციონირებდა „საიენტოლოგიის ეკლესია“. სწორედ ამის შემდეგ მოხდა იაცენიუკის კარიერის თავბრუდამხვევი აღმასვლა. შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი ეჭვმიტანილია და ფიგურირებდა ისეთ კრიმინალურ საქმეებში, როგორიცაა ბიზნეს-პარტნიორ ალექსანდრ კონოვალოვის მკვლელობა, სხვადასხვა კომპანიებიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით თანხების მიტაცება (რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საქმე). უკრაინის რადას თავმჯდომარე – ვლადიმირ გროისმანი. მასზეც არაერთი კომპრომატი არსებობს. 2009 წლის 22 დეკემბერს კიევის პროკურატურამ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა განსაკუთრებით დიდი მასშტაბების თაღლითობის გამო, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, საქმე ჩაიფარცხა და დაიხურა, ხოლო ქალაქის პროკურორმა და მილიციის უფროსმა მოულოდნელად ბინები მიიღეს. როცა 2011 წელს ვინიცაში ახალი პროკურორი დაინიშნა, მანაც ასევე ბინა მიიღო ქალაქის ცენტრში.

უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს მამა – ალექსეი ვალცმანი, დაქორწინების შემდეგ მეუღლის გვარზე გადავიდა. 1985 წელს იგი დააპატიმრეს ქალაქ ბენდერში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მატერიალური ფასეულობების მოპარვისთვის და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2009 წელს პეტრო პოროშენკომ თავის „ნათელმირონ“ ვიქტორ იუშჩენკოსგან (იგი პოროშენკოს ორი ქალიშვილის ნათლიაა) თავისი მამისთვის „გმირის წოდება“ იყიდა.



# მიხეილ სააკაშვილის ოდესური „ოდისეა“ და უკრაინა – მდიდარი არამზადების საჯიჯგნი ტერიტორია

### სააკაშვილს ისეთი ბანდიტები ჰყავს გარშემო შემოკრებილი, მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავს, ამიტომაც გთხოვეთ ჩემი ვინაობის დამალვა

პეტრო პოროშენკოს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ბორის ბერეზოვსკისთან. იგი ასევე ახლო მეგობარია ქართველი ებრაელი ბიზნესმენის დავით ჟვანიასი. ქართველი ჟურნალისტის, გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეში პოროშენკოს გვარიც ფიგურირებდა, იგი ეჭვმიტანილი იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობის კორუფციაში, გადასახადების დამალვაში. პოროშენკო ფლობს უკრაინულ საკონდიტრო კომპანიას „როშენ“. სახელწოდება მისი გვარიდან მომდინარეობს პო-როშენ-კო.

დღეს უკრაინის ეკონომიკას ფული სჭირდება. სახელმწიფო იძულებულია, მსოფლიო სავალუტო ფონდის ვალი აიღოს. მსოფლიო სავალუტო ფონდი კი უკრაინას ჩვიდმეტმილიარდიან ვალს მაშინ მისცემს, თუკი ამერიკულ კომპანია მონსატო-ს უფლება ექნება, მოამარაგოს უკრაინის სოფლის მეურნეობა ტრანსგენური თესლით. გენმოდიფიცირებულ მცენარეს, მართალია, დიდი მოსავალი მოაქვს, მაგრამ მისი საკვებად მოხმარება, ბევრი დამოუკიდებელი მეცნიერის აზრით, დამღუპველია! მაგრამ ეს უკრაინის ხელისუფლებას არ ადარდებს, მისთვის მთავარია 17-მილიარდიანი ვალის აღება, რომელიც უკრაინის მოქალაქეებმა საშვილიშვილოდ უნდა იხადონ.

უკრაინა გადაქცეულია მდიდარი არამზადების საჯიჯგნ ტერიტორიად – იმ არამზადებისა, რომლის შვილებიც აშშ-ში, საფრანგეთში, ბრიტანეთსა თუ სხვა „უზრუნველყოფილ“ ქვეყნებში ცხოვრობენ, სწავლობენ ძვირადღირებულ სასწავლებლებში. ისინი იარაღით ხელში სამშობლოს „ვერაგი მტრისგან“ არ იცავენ. უკრაინაში დარჩენილი რიგითი მოქალაქეებისთვის კი უკრაინის ხელისუფალნი სარეკლამო-პროპაგანდისტულ კლიპებს ამზადებენ და პირტიტველა ბიჭებს საბრძოლველად მიერეკებიან.

**– რა ცუდ წრეში მოხვედრილა ჩვენი პრეზიდენტყოფილი, ვფიქრობ, „დიდ გამოცდილებას“ შეიძენს! გვიამბეთ, როგორ მიიღო ოდესამ ჩვენი „მაღალი“.**

– ვერ დაგეთანხმებით, სააკაშვილი შესაფერის წრეშია, ნორმალურ ხალხთან მას არსებობა გაუჭირდება! უკრაინაში ის მაიდნის ცნობილ მოვლენებამდე გამოჩნდა. არავინ იცის სიმართლე, ვისი რეკომენდაციით დაინიშნა ოდესის გუბერნატორად. მართალია, უკრაინის პრეზიდენტმა დანიშნა, მაგრამ ვისი დავალებით რა მიზნით? ოდესელები შარშან ახალ გუბერნატორს მართლაც უჩვეულოდ შეხვდნენ – ადგილობრივი მაცხოვრებლების გარკვეულ ნაწილს არ დაეზარა და ქუჩები სხვადასხვა ფერის ჰალსტუხებით მორთო, რომლებსაც წარწერა „მიშასთვის“ ამშვენებდა. სხვადასხვა ფერის და ფასონის ჰალსტუხების ნაწილი ხეებზე ეკიდა, ნაწილი კი პირდაპირ ქუჩაში ეყარა. მათი სიმრავლე კი ყველაზე მეტად საოლქო საბჭოს შენობასთან შეიმჩნეოდა, სადაც უკრაინის პრეზიდენტს, პეტრო პოროშენკოს, „ჰალსტუხებისმოყვარული“ ახალი გუბერნატორი უნდა წარედგინა... ოდესელები შოკში იყვნენ. თავის ისტორიულ სამშობლოში სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი და არაერთ სასტიკ დანაშაულში მხილებული ყოფილი პრეზიდენტი მშობლიური ქვეყნის გამყიდველი, ოლქის გუბერნატორად დაგვინიშნეს. სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი, ყველაზე სკანდალური გადაწყვეტილება, ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მარია გაიდარის დანიშვნა იყო. აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციის შენობასთან გააპროტესტეს. აქტივისტები ადგილობრივი ადამიანური რესურსის გამოყენებას მოითხოვდნენ...

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ პოლიტიკოსების მცირე ჯგუფს სჯეროდა მიშასი და მისი დღემდე განუხორციელებელი რეფორმების. ასევე,











ოლქის მაცხოვრებლების მცირე ნაწილიც მის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. თუმცა მიხეილმა ძალიან მალე ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კორუმპირებულს და ბანდიტს დაარქვა წესიერი. განათლებულს – უვიცი. განათებულს – ბნელი... მე მისი „გამობრწყინება“ მომენტალურად შემეხო, რადგან ვმუშაობდი ილიჩევსკის პორტში, რომლის დირექტორიც გახლდათ შესანიშნავი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი იური კრუკი. მის მიმართ სააკაშვილმა უბინძურესი პიარ-კამპანია გააჩაღა. იური კრუკმა ილიჩევსკის სახელმწიფო სავაჭრო პორტამდე ორი პორტი დააყენა ფეხზე თავისი პროფესიონალიზმის წყალობით. ვერ ნახავდით ვერც ერთ თანამშრომელს, ვინც იური კრუკს უარყოფითად დაგიხასიათებდათ. გვქონდა შესანიშნავი



სამუშაო პირობები, მისაღები გრაფიკი, შესაფერისი ხელფასი, დაზღვევის საუკეთესო პაკეტი. მოკლედ, პორტი საათივით გახლდათ აწყობილი. სააკაშვილმა ჩვენი პორტით დაიწყო ახალი წესრიგის დამყარება. გასული წლის 23 ივლისს, იგი ჟურნალისტების დესანტის თანხლებით, ჩინოვნიკებისათვის მოულოდნელად მოვიდა მაშინდელ, ილიჩევსკის (ახლა ჩერნომორსკის) ნავსადგურში და პორტის დირექტორის ნახვა მოისურვა, რათა იგი, კორუფციის გამო, დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. გასული წლის აგვისტოში კი პორტის ტერიტორია სპეცდანიშნულების რაზმმა და ჩვენთვის უცნობი ადამიანების ჯგუფმა დაიკავეს (რომლებიც როგორც შემდგომ გაირკვა, უკრაინის მთავარი პროკურატურის თანამშრომლები გახლდნენ). პორტის თანამშრომლებს, ფაქტობრივად, უკანონოდ აღგვიკვეთეს თავისუფლება და რვა საათი გაუგებრობაში გვამყოფეს. კითხვაზე ვინ იყვნენ და რა სურდათ ჩვენგან, პასუხს არ გვცემდნენ. მოვასწარით ჟურნალისტებთან დარეკვა, თუმცა არც მათ მისცეს უფლება, შემოსულიყვნენ ტერიტორიაზე. აღნიშნული სტრესის გამო არაერთ თანამშრომელს შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, მაგრამ არც სასწრაფო დახმარების მანქანა შემოუშვეს ტერიტორიაზე. გაიტანეს უამრავი დოკუმენტაცია, კომპიუტერული ტექნიკა, მოკლედ, პორტის ხელმძღვანელობას ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო მიხეილმა. მათ მიმართ ხორციელდებოდა არა მარტო მორალური არამედ სერიოზული ფიზიკური ზეწოლა. ეს ჯოჯოხეთი სამი თვე გრძელდებოდა, სანამ პორტის დირექტორი და მასთან ერთად ასეულობით თანამშრომელი არ გაათავისუფლეს. ახალ დირექტორად კი კორუფციულ სქემებში არაერთგზის გახვეული და საეჭვო ქართველ კრიმინალებთან კავშირში მყოფი კრიჟანოვსკი დაინიშნა. რომელმაც დაპირებული ინვენსტიციების მოზიდვის ნაცვლად პორტი გაანადგურა. ჩვენ თავიდანვე გვქონდა ინფორმაცია, რომ ახალი გუბერნატორი ამერიკელების დავალებით და



თანადგომით მოქმედებდა. მათი მიზანი კი პორტის დაშლა და გაყიდვა იყო. მოულოდნელად გვესხმოდნენ თავს ზონდერ-ბრიგადები და ფიზიკურად გვისწორდებოდნენ. ტელეკომპანიების ნაწილი აღნიშნულ ფაქტს არაობიექტურად აშუქებდა. მიშა გამოჰყავდათ კორუფციასთან მებრძოლ რაინდად. არავინ ახსენებდა იმ ფაქტს, რომ პირველი კორუმპირებული იგი და მისი თანამოაზრეები იყვნენ საქართველოში.

**– უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბარში სააკაშვილი აცხადებდა, რომ თანამდებობებზე რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდა კადრს დაასაქმებს, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს მკაცრად გააკონტროლებს, შემდეგ წესრიგს ოდესის საბაჟო სამსახურშიც დაამყარებს და გზების პრობლემასაც მალევე მიხედავს. თუმცა კარგად მახსოვს, მისი თანამებრძოლი მიხეილ მაჭავარიანი როდესაც შემოსავლების მინისტრი გახლდათ, ათეულობით მილიონი აკლდებოდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, რაღაც არ მახსენდება, სააკაშვილს თანამებრძოლების მიერ სახელმწიფო ქონების მიტაცება გაეპროტესტებინოს, მეტიც, იგი ყოველთვის კბილებით იცავდა კრიმინალ თანამოაზრეებს. რადგან მიტაცებული თანხები მათ ჯიბეში ილექებოდა. ოდესის გუბერნატორის თანამდებობამ ხომ არ შეცვალა მისი მენტალიტეტი?**

– მოგახსენებთ, გასულ წელს სოციალურ ქსელში სააკაშვილმა პორტთან დაკავშირებით სტატუსი გამოაქვეყნა: „დროა, პორტის მაფია დასრულდეს. გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მე ვისაუბრე სერიოზულ თემებზე, რომელიც დაკავშირებულია ილიჩევსკის პორტში მრავალრიცხოვან დარღვევებზე. მე განვიხილე ეს თემა ასევე ინფრასტრუქტურის მინისტრთან და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებთან. როდესაც მე დავინიშნე ოდესის ოლქის გუბერნატორად, კონკურსი უკვე გამოცხადებული იყო პორტის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნაზე, მაგრამ ჩემი დანიშვნის შემდეგ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, კონკურსი გადაიდო.

ვეჭვობ, რომ აქ ადგილი აქვს კიევში კორუფციული ინტერესების ლობირებას, რამდენადაც იცოდნენ, რომ ჩემი თანდასწრებით ვერ შეინარჩუნებდნენ ძველ გვარდიას, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ძარცვავდა უკრაინას ოფშორული ზონის ტრანსაქციის გავლით და კონტრაბანდის წყალობით. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე საჭიროა დაუყოვნებლივ გადადგეს პორტის ხელმძღვანელი, ბატონი კრუკა თანამდებობიდან”.

აპა, აშშ–ის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან რატომ უნდა იხილებოდეს ოდესის პორტის საკითხი? სააკაშვილი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ არ ცნობს უკრაინის სუვერენიტეტს, არ იცნობს უკრაინის კონსტიტუციას.





**– გეთანხმებით, ეგ ფილმი საქართველოში უკვე ნანახი გვაქვს, კონსტიტუცია მახვილზე ჰქონდათ შემოხვეული ნაცებს, სუვერენიტეტი კი ვარდების რევოლუციის შემდგომ უკეთესი მომავლის იმედდთან ერთად გაქრა. თქვენი აზრით, რატომ დაიწყო „რეფორმები“ილიჩევსკის პორტით?**

– არაერთი მიზეზის გამო, პირველ რიგში, „უფროსი ძმების“დავალებით დაშალეს და დიდი ნაწილი გაყიდეს. სამთვენახევარი იბრძოლა სააკაშვილმა, რომ ილიჩევსკის პორტიდან დირექტორი, მოადგილეები, წამყვანი სპეციალისტები „მორჩილი კადრებით“ ჩაენაცვლებინა. ხმაურით შეცვალა ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელობა, ასევე საბაჟო-სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობაც გაათავისუფლა, ამით კი გზა გაუხსნა რეკრუტების ჯგუფის უსაფრთხო გადაყვანას საზღვაო ტრანსპორტით მარშრუტით „ბათუმის პორტი-ილიჩევსკის პორტი“. პირველი ჯგუფი უკვე ჩავიდა 2015 წლის სექტემბერის დასაწყისში. ილიჩევსკის პორტში ჩასვლისა და იქ ყველა საბაჟო-სასაზღვრო ბარიერის გადალახვის პრობლემა ქართველ რეკრუტებს არ აქვთ. ასე რომ, „საზარბაზნე ხორცი“, სააკაშვილის დავალებით, უხვად მიედინება უკრაინაში. რაღა თქმა უნდა, სოლიდურ საფასურად, მაგრამ სიცოცხლე ორი ათას ხუთასი დოლარი ღირს? სააკაშვილისთვის უკრაინელის და ქართველის სიცოცხლე კაპიკის ფასია. ვის ღირსებას იცავენ უკრაინაში ჩამოსული ქართველი რეკრუტები, ვისთვის სწირავენ სიცოცხლეს ამერიკელების, თუ პოროშენკოს და სააკაშვილის კრიმინალური ბანდის გასამდიდრებლად? ასევე აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ილიჩევსკის პორტი ნარკოტიკების და იარაღის „გამტარია“, იმასაც ამბობენ, რომ მიშას „თანამებრძოლები“ ფოთიდან მომავალი ბორანის საშუალებითაც გზავნიან აკრძალულ ტვირთს!

– **სერიოზული ბრალდებაა!**

– დიახ, ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს, სააკაშვილს ყველა უკანონო ქმედება გამწვანებული აქვს!

**ქეთევან ზარნაძე**
599 51 60 30

**(გაგრძელება იქნება)**

# მართლმსაჯულება შეურაცხყოფილი და დაკნინებულია იქ, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წლების განმავლობაში სხვისთვის უკანონოდ წართმეულ ბინაში ცხოვრობს და, მეტიც, ახლა ამ ბინის უცხოელებზე გაყიდვას აპირებს

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებული რეზონანსული საქმე, სადაც მოპასუხე მხარედ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ფიგურირებს. მოსარჩელე როლანდ ბლადაძის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, ადვოკატი **არჩილ კაიკაციშვილი** იცავს. მოგეხსენებათ, 2007 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ბათუმში გადამისამართებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს სიმბოლურ ფასში გადასცა საცხოვრებელი ბინები. **როლანდ ბლადაძისთვის** ჩამორთმეული ბინა ამ სასამართლოს თავმჯდომარეს **გიორგი პაპუაშვილს** ერგო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უამრავმა ქონებაჩამორთმეულმა მიმართა პროკურატურა-სასამართლოს, მათ შორის იყო როლანდ ბლადაძეც. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, როლანდ ბლადაძე 2001-2004 წლებში სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის დირექტორის მოადგილე იყო ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ბლადაძე სწორედ ამიტომ გახდა „ვარდოსნების“ მხრიდან დევნის ობიექტი. 2004 წლის სექტემბერში აჭარის პროკურატურამ მის მიმართ სს-ის საქმე აღძრა და ბათუმის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ ბლადაძეს ვითომდა დაუსაბუთებელი ქონება ჩამორთმეოდა იმ მოტივით, რომ ბლადაძეს საჯარო სამსახურში მუშაობისას იმხელა ოფიციალური შემოსავალი ვერ ექნებოდა, რომ ბათუმის ცენტრში პრესტიჟული ბინა შეეძინა. სასამართლომ რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა, რითაც დაირღვა ყველანაირი საპროცესო-ნორმატიული აქტი. ერთი სიტყვით, ბლადაძეს უძრავი ქონება ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა. ბლადაძის ოჯახისთვის როგორც ცნობილი გახდა ამ გადაწყვეტილების შესახებ, მაშინვე დაიწყეს სასამართლო დავა.

**არჩილ კაიკაციშვილი:** „საქმე იმაშია, რომ ხსენებული ბინა როლანდ ბლადაძემ 1999 წელს შეიძინა, ხოლო 2000 წელს ნოტარიულად გადაიფორმა, აქედან გამომდინარე, სასამართლოს პროკურატურის არგუმენტი სარწმუნო გარემოებად არ უნდა მიეღო. ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნაც მიმდინარეობდა, ამიტომ იგი იძულებული გახდა ქვეყნიდან გადახვეწილიყო. 2007 წლის 21 ივნისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბლადაძისთვის ჩამორთმეული ბინა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს 1000 ლარად გადასცა. მაშინდელმა მთავრობამ მსოფლიოში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და დანარჩენ მოსამართლეებსაც 1000-1000 ლარად გადასცა, მათ შორის ჩამორთმეული ბინებიც. ჩვენი ინფორმაციით, მხოლოდ ჯონი ხეცურიანმა და ვახტანგ გვარამიამ თქვეს უარი ამ „ჯილდოზე“. ეს არის ელიტური კორუფციის მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მთლიანად დაიმორჩილა სასამართლო ხელისუფლება. ბატონი პაპუაშვილისთვის გადაცემული ქონება არის სადაო, ჩვენ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ვადასტურებთ, რომ იგი არაკეთილსინდისიერი შემძენია და უკანონოდ ფლობს ამ ქონებას, პაპუაშვილმა ხელისუფლებასთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე კარგად იცოდა, აღნიშნული ქონება სადაო იყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ როლანდ ბლადაძესაც მიეცა შესაძლებლობა, სასამართლოს წესით ედავა უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებით. ადრინდელ ინტერვიუშიც გითხარით, რომ ამ დავაში პაპუაშვილთან ერთად იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროებიც ფიგურირებენ. საქმის მასალებზე მუშაობისას ძალიან საინტერესო მიმოწერას წავაწყდით, გიორგი პაპუაშვილი წერილობით მიმართავს იუსტიციისა და ეკონომიკის მინისტრებს (2012 წლის დეკემბერი) ერთადერთი მოთხოვნით, რომ თუ მისთვის გადაცემული ქონება რეალურადაა სადაო, სახელმწიფომ ეს მიუთითოს და იგი მზადაა ქონება სახელმწიფოს დაუბრუნოს. 2013 წლის დასაწყისში გაგზავნილ პასუხში, რომელსაც ხელს აწერს ქონების მართვის სააგენტოს მაშინდელი ხელმძღვანელი დიმიტრი ქუმსიშვილი, მითითებულია, რომ თურმე ამ ქონების შესახებ დავის მიმდინარეობა არ დასტურდებოდა, რაც ცალსახად არასწორი ინფორმაციაა, რადგან მოცემულ ეტაპზე საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა. ბატონი ქუმსიშვილი ვალდებული იყო ამის შესახებ სცოდნოდა, მის ქვემდებარე ორგანოს ჯერ ყველა სახის ინფორმაცია უნდა გამოეკვლია და მერე მოემზადებინა საპასუხო წერილი, რადგან ამ პასუხზე იყო დამოკიდებული სადაო ქონების დაბრუნების საკითხი. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, საქმეში არსებობს გიორგი პაპუაშვილისადმი გაგზავნილი 2013 წლის 17 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელსაც ხელს მინისტრი წულუკიანი აწერს, რომ თუ როლანდ ბლადაძის მიმართ 2004 წელს აღძრული სისხლის სამართელბრივი დევნა შეწყდებოდა და იგი გამართლდებოდა, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან გიორგი პაპუაშვილისთვის გადაცემული ქონების კანონიერების საკითხი ეჭვქვეშ დადგებოდა. 2013 წლის 12 აპრილს პროკურატურამ მიიღო დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის, გამართლების და პატიმრობის გაუქმების თაობაზე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ანუ იმ დანაშაულის, რის გამოც მას ქონება ჩამოართვეს. ბუნებრივად დგება ქონების დაბრუნების საკითხი. 2015 წლის ნოემბერში ამ მოთხოვნით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და უპირველესად სადაო ქონების დაყადაღება მოვითხოვეთ, რადგან 2015 წლის მარტში, ბატონმა პაპუაშვილმა ეს ქონება მალულად 187.000 აშშ დოლარად გაასხვისა თავისი მეუღლის დის (ტელეწამყვან ეკა ხოფერიას) ყოფილ ქმარზე გიორგი ლევიძეზე (ჩვენი ინფორმაციით, ბატონმა პაპუაშვილმა ამ პიროვნებას გაცილებით ადრე, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხი მიყიდა, რომელიც კანონიერი მფლობელისთვის არც ჩამოურთმევიათ – მ.ს.), თუმცა ჩემი უშუალო ჩარევით, საკადასტრო კოდზე ხარვეზი წარმოიშვა და ბატონმა პაპუაშვილმა შეასაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება ვერ დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. მოგვიანებით თავად გიორგი ლევიძემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ხსენებული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ ქონების სადაოობა. ამ ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო მოვითხოვეთ ყადაღის უზრუნველყოფა, საქმე წარმოებაში გადაეცა მოსამართლე ტარიელ ტაბატაძეს, რომელმაც აბსურდული მიზეზებით ორჯერ თქვა უარი ყადაღის უზრუნველყოფაზე. რა თქმა უნდა მისი გადაწყვეტილებ ზემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრეთ, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მოსამართლე ტაბატაძის გადაწყვეტილება და იგი იძულებული გახდა ხსენებული ქონება დაეყადაღებინა“.

**— თბილისის საქალაქო სასამართლომ, კერძოდ, მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ არ დააკმაყოფილა როლანდ ბლადაძის სარჩელი, თქვენი აზრით, რა გახდა ამ რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზი?**

— მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ, უკვე მოირგო სისტემური დანაშაულებების გამთეორებელი მოსამართლის მანტია და „ღირსეულად“ შეუდგა ნაცხელისუფლების მხრიდან ჩადენილი უკანონო მოქმედებების ლეგიტიმაციას. არადა მას სხვა არჩევანიც ჰქონდა, შეეძლო ობიექტური გადაწყვეტილებები მიეღო და არ ჩამდგარიყო შემსრულებელი, მოსამართლეების რიგებში. მან, 34 წლის ასაკში, საკუთარი პროფესიული ბიოგრაფია ფაქტობრივად დაასაფლავა. ფარქოსაძის ეს ამორალური გადაწყვეტილება, ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაგმული ნაბიჯია, ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ფარქოსაძის მსგავსი ქართული მართლმსაჯულების მესაფლავე მოსამართლეები, სასამართლო სისტემიდან რაც შეიძლება მალე წავიდნენ.

მოსამართლე ფარქოსაძე გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე სასამართლო დარბაზიდან გაიქცა, ამიტომ იმის პროცესუალური შესაძლებლობაც კი არ მოგვეცა, რომ გადაწყვეტილების საფუძვლები და განმარტება მოგვესმინა, რაც მხარისთვის ყველა შემთხვევაში ცნობილი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, სასამართლომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება თითქოს იმ ფაქტს დაეყრდნო, რომ დავა ხანდაზმულია, ხოლო სადაო ქო-









ნების პაპუაშვილისთვის გადაცემის დამადასტურებელი აქტები, ისევ მოქმედი. ამ განმარტებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება იქნება ნონსენსი. ჩვენ ჯერ არ გავცნობივართ მოსამართლე ფარქოსაძის 5 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებას, ჩვენი ინფორმაციით, იგი დასასვენებლად წავიდა. მოსამართლე 2 სექტემბრამდე საშვებულებო პერიოდით სარგებლობს. იმედია, დასვენებული მაინც მიხვდება, რომ უკანონობის დაკანონება ვერავის მოუტანს ბედნიერებას. ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ, ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური, გიორგი პაპუაშვილი აღიარებული იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად. საქმეში წარმოდგენილია აჭარის პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილება, როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, რომლის მიხედვითაც დადასტურებულია, რომ სახელმწიფომ მას უკანონოდ ჩამოართვა ქონება, მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ 2007 წელს საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა და დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების ამავე წლის მიმართვები, რომლებიც ცალსახად მიუთითებდნენ, რომ ჩამორთმეული ქონება იყო სადავო და სახელმწიფო ქონების გასხვისებას აპირებდა გიორგი პაპუაშვილის მიმართ. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ეკონომიკის სამინისტრო ვალდებული იყვნენ საკითხის გამოკვლევის გარეშე არ წამოეწყო ქონების გასხვისების პროცესი. სახელმწიფო უფლებამოსილი არ იყო განეკარგა ის ქონება, რომელიც მიღებული იყო დანაშაულის არარსებობის პირობებში. სწორედ აღნიშნულზე არ იმსჯელა მოსამართლემ. დაუსაბუთებელია სასამართლოს განმარტება, თითქოსდა სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა ქონების გაუუქმებელ და კანონიერ ძალაში არსებულ სხვა ადმინისტრაციული აქტების არსებობას. სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში მოისმინა დასაბუთება, რომ წარსულში სადავოდ გამხდარი პრეზიდენტის განკარგულება, მინისტრის ბრძანება, საკუთრების მოწმობის აქტი, რომელიც 2013 წლის გადაწყვეტილებით კანონიერ ძალაში დარჩა, მხოლოდ ერთადერთი მოტივით არ იქნა გაუქმებული, რომ მათი ბათილობისთვის გასული გახლდათ ხანდაზმულობის ვადები. ასევე, არასწორია სასამართლოს განმარტება, როდესაც მიუთითებს, რომ მოთხოვნა ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არის ხანდაზმული, ვინაიდან მხარეებს ხანდაზმულობის საკითხზე არც ერთ ეტაპზე არ უმსჯელიათ. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმული ვერ იქნება, ვინაიდან ა) ნასყიდობის ხელშეკრულება არც ერთხელ არ ყოფილა დავის საგანი, ბ) დავა ჩამორთმეული ქონების თაობაზე მიმდინარეობდა მუდმივად, 2004 წლიდან დღემდე. სასამართლო ამ მიდგომაშიც შერჩევით მართლმსაჯულებას გვთავაზობს. შესაბამისად, გაუგებარია სასამართლოს პრეს–სამსახურის განცხადებები, რომელიც ერთხელაც არ დაინტერესებულა დასწრებოდა სხდომას და საქმის განხილვის პროცესში არსებულ დარღვევებზეც მიექცია ყურადღება.

15 აგვისტოს, როლანდ ბლადაძის ოჯახმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, საზოგადოებას მოუწოდა, გიორგი პაპუაშვილის მხრიდან სადავო ქონების გასხვისების შემთხვევაში, თავი შეიკავონ ბინის შეძენისგან. რამდენად რეალურია ბინის გაყიდვის საფრთხე და რატომ ვერ ხერხდება სადავო ქონებაზე ყადაღის დადება?

არჩილ კაიკაციშვილი: „ბლადაძის ოჯახმა გაასაჯაროვა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება გიორგი პაპუაშვილსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს. როლანდ ბლადაძის განცხადებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი პაპუაშვილი ცდილობს სადავო ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გასხვისებას. მისი ყოფილი მეზობლების ცნობით, რომლებთანაც წლების მანძილზე ინარჩუნებენ ურთიერთობას,





გიორგი პაპუაშვილმა სადავო სახლიდან ღამის საათებში სატვირთო მანქანებით გაიტანა კუთვნილი ავეჯი. მისი ოჯახი მუდმივად თბილისში ცხოვრობს. ბოლო ხანს არც გიორგი პაპუაშვილი სარგებლობს ბინით, ხოლო დაცვის პოლიციის თანამშრომლები, მხოლოდ კანონით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დავა გრძელდება, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გამოყენების უფლება, თან იმ დროს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოში ჯერ არც კი იყო გარკვეული, საქმეს ადმინისტრაციული კოლეგია განიხილავდა თუ სამოქალაქო კოლეგია. ასეთი ფაქტი დაუჯერებელია სასამართლო პრაქტიკისთვის. ეკონომიკის სამინისტრომ, მოცემულ ეტაპზე, ვერ შეძლო გიორგი პაპუაშვილთან დიალოგი და მისი ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილება. როლანდ ბლადაძემ მოუწოდა გიორგი პაპუაშვილს, არ მოახდინოს ოჯახისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების გასხვისება. ჩვენ სამართლებრივი გზებით ვცდილობთ დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენას, საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის. ნებისმიერ ადამიანი, რომელიც სადავო ქონების შეძენას დააპირებს, იქნება ქონების არაკეთილსინდისიერი მესაკუთრე, რომელიც უნდა გრძნობდეს, მათ შორის მოსალოდნელი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს. მოვლენების ასეთ განვითარებაზე, პასუხისმგებლობა, სრულად ეკისრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელის მიმართაც, ჩვენი მხრიდან, წარმოქმნილია სამართლებრივი დავა და სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს წინდახედულობის პრინციპის გამოყენებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, ანუ არ არის ძალაში შესული, თუმცა ზოგიერთი სატელევიზიო სიუჟეტის მიხედვით, თითქოსდა სადავო ქონება გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში რჩება. აუცილებელია, ჟურნალისტურმა კორპუსმაც სიფრთხილე გამოიჩინოს თემის გაშუქებისას და არ მოხდეს გადაუმოწმებელი ფაქტების პოპულარიზაცია. საქართველოს პრემიერ–მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის მიერ ბათუმში წარმოთქმული სიტყვები, რომ არცერთი ხიდი, ესტაკადა, გზა, კოშკი არ ღირს დაჩაგრული ადამიანის დაღვრილ ცრემლად, იმედს გვაძლევს, რომ სახელმწიფო საკუთარი სიტყვის ერთგული დარჩება.

2016 წლის იანვარში, როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლები შევხდით პრემიერ-მინისტრ ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ ქონებაზე საკითხი დავსვი და ვთხოვე, რომ საერთო სასამართლოებში, სადაც შესაძლებლობა ჩნდებოდა, ეკონომიკის სამინისტროს სამართლებრივი პოზიციები ქონებაჩამორთმეულების მხარეს დამდგარიყო. პრემიერს დეტალურად გავაცანი ინფორმაცია, რომ როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტროს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ჰქონდა წარმოდგენილი და პირდაპირ ახორციელებდა გიორგი პაპუაშვილის, როგორც საპროცესო დავის მონაწილე მხარის დაცვას. ამ შეხვედრას მალევე მოყვა რეაგირება. მე შევხვდი ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილსაც, მან სამართლიანობის აღდგენის პირობა დადო. მაისში, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან ჩვენ გვქონდა შეხვედრები და სახელმწიფომ 12-წლიანი პაუზის შემდგომ, საქმეზე მორიგების წინადადება წარმოადგინა, მორიგება უნდა შემდგარიყო სახელმწიფოს, გიორგი პაპუაშვილსა და როლანდ ბლადაძეს შორის. ბატონმა სვიმონ ფირცხალაიშვილმა, რომელიც სამინისტროს სახელით სასამართლო სხდომაზე პოზიციებს წარმოადგენს, თითქმის ყველა ეტაპზე განაცხადა, რომ არსებობს პრემიერ-მინისტრის განკარგულების პროექტი, რასაც, მორიგების აქტის გაფორმების შემდგომ სამართლებრივი მსვლელობა მიეცემოდა. 31 მაისიდან მოყოლებული, სამინისტრომ სხდომა ორჯერ გადადო სწორედ გიორგი პაპუაშვილთან მოლაპარაკებებისთვის, თუმცა ეს ვალდებულება არ შეასრულა. გიორგი პაპუაშვილის ადვოკატმა სხდომაზე განაცხადა, რომ არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად, გიორგი პაპუაშვილთან კონტაქტზე არავინ გასულა. რატომ? ამაზე პასუხი მკითხველმა გასცეს, თუმცა ჩვენ გვაქვს განცდა, რომ სამართლებრივი პროცესი პოლიტიკურ პროცესში გადაიზარდა. სახელმწიფოს მიზანს, პროკურატურის მხრიდან უდანაშაულოდ მიჩნეულ კანონიერ მესაკუთრეს – როლანდ ბლადაძეს ჩამორთმეული ქონება დაუბრუნოს, წინ რა უდგას?! ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან სასამართლოს სხდომებზე წარმოჩენილი პოზიციები, სრულიად გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა, მაგალითად, სამინისტრო არ დაეთანხმა მოწმის სახით მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას, სამინისტრო ბოლო წუთამდე ამტკიცებდა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის სრული დაცვით იქნა მიღებული, ანუ ქონების ჩამორთმევა მოხდა სწორად და ა.შ. ეკონომიკის სამინისტროს პოზიციებით მთელი საზოგადოებაა უკმაყოფილო, მიმაჩნია, რომ ეს საქმე პირადად მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის იმიჯისა და პოლიტიკური მომავლისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავს.

**– თავად გიორგი პაპუაშვილის ბოლოდროინდელ გააქტიურებას როგორ შეაფასებთ, თქვენი აზრით, რის მიღწევას ცდილობს მილევად რეჟიმში მყოფი თავმჯდომარე?**

– მას შემდეგ, რაც 18 ივლისს, სასამართლომ გიორგი პაპუაშვილს უარი უთხრა საქმის შეწყვეტაზე, მან შეტევა განახორციელა. თქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ემუქრებიან, აშანტაჟებენ. მის განცხადებებს ცხადია, პოლიტიკური მიზანი ჰქონდა და ხმაურიც შედგა. მიგვაჩნია, რომ გიორგი პაპუაშვილმა მასთან სადავო ქონებზე სასამართლო გადაწყვეტილების გადაფარვა დაისახა მიზნად, ცდილობს, სადავო ქონების საკითხზე მიმდინარე დავა, ხელისუფლებიდან მომდინარე პროცესად წარმოაჩინოს, ქვეყნის შიგნითა თუ გარეთ ალიბი შეიქმანს, რომ თითქოს დევნიან, ავიწროვებენ, რის მაგალითადაც, სასამართლოში ქონების დაბრუნებაზე არსებული დავა სახელდება. ჩვენ არ ვიცით, რაზე საუბრობს ბატონი პაპუაშვილი პრეზიდენტთან, პრემიერთან, მთავარ პროკურორთან, რაზე ისაუბრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, მაგრამ გვაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ცდილობს სასამართლოს იძულებას, რათა შეინარჩუნოს წართმეული ქონება. გვაქვს სრული განცდა, რომ აღნიშნული საქმის ფარგლებში, გიორგი პაპუაშვილთან ერთად, მოსამართლეზე ზემოქმედების ფორმებს მიმართავდა და ზეწოლას გააგრძელებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მეორე მხრივ, გიორგი პაპუაშვილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ ზეწოლისა თუ შანტაჟის თაობაზე გაკეთებული ბოლოდროინდელი განცხადებები, ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევისა და შექმნის მიზნებს ემსახურება.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# პოლიტიკური ხარაკირი

## პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თავისი პოლიტიკური კარიერა დაასრულა. ის ახლა ინერციით მიექანება თამდალმართში

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი **დიმა ლორთქიფანიძე:**

**— ბატონო დიმიტრი, პარლამენტის თავმჯდომარემ ევროატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა მოითხოვა, რაც უპირისპირდება ნინო ბურჯანაძის ინიციატივას უბლოკო სტატუსის თაობაზე.**

— საქმე ის გახლავთ, რომ დავით უსუფაშვილმა როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა ამით ორი კურდღლის მოკვლა სცადა. პირველ რიგში, იმით ისარგებლა, რომ მედასავლეთეები, განსაკუთრებით, ლიბერალური ინტერნაციონალის შემადგენელი პოლიტიკური ძალები თავის დროზე მემორანდუმის ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ, რითაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის დასავლური ვექტორისადმი ერთგულება გამოხატეს. უსუფაშვილმა მემორანდუმის არსებობით ისარგებლა და ნინო ბურჯანაძის უბლოკო სტატუსის საკანონმდებლო ინიციატივას არსებული მემორანდუმი დაუპირისპირა, ამის საფუძველზე კონტრზომები მიიღო, რის შედეგადაც საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწერება, რომ ქვეყნის განვითარების ერთადერთი და გამუმეორებელი გზა ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვაა. რამდენად შეძლო ორი კურდღლის მოკვლა, ამას საზოგადოება განსჯის და პასუხს გასცემს. პროდასავლური ძალების ალიანსში „რესპუბლიკურ პარტიას“ პრეტენზია აქვს ლიდერი, ფლაგმანი იყოს, მას თამასა ყველაზე მაღლა აქვს აწეული. ერთსქესიანი ქორწინებების დეკლარირება სწორედ მათი საერთაშორისო ლიბერალური ინტერნაციონალის ერთ-ერთი მავალდებულებელი დებულებაა, რასაც „რესპუბლიკელები“ კიდევაც აღიარებენ. ანუ, სადაც სინდისის ძარღვი გაწყვეტილია იქ, ბუნებრივია, რაიმე კეთილგონიერებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. უსუფაშვილი მაქსიმალურად ცდილობს ამ აწეული თამასის ფონზე ისარგებლოს და ყველა პროდასავლური ძალის ლიდერი ორგანიზაციის იმიჯი დაიმკვიდროს. მეორე მხრივ, ცდილობს დარტყმა მიაყენოს უბლოკო სტატუსის უპრეცედენტო იდეას. ეს მხოლოდ იდეა არ არის, არამედ კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველო უარს აცხადებს გახდეს რომელიმე სამხედრო საერთაშორისო ბლოკის, ალიანსის წევრი, რაც თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ საქართველოს დემილიტარიზაცია უნდა მოხდეს და უარი ვთქვათ შეიარაღებული ძალების განვითარებაზე ან რომელიმე სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე რომელიმე სახელმწიფოსთან თუკი ეს საქართველოს ინტერესებში შევა. აქ ლაპარაკია ალიანსის წევრობაზე. ვინაიდან დღეს, საქართველოს გეო-სტრატეგიული მდებარეობა არ იძლევა იმის ფუფუნებას, რომ ჩვენ ცალსახად ან ერთი ან მეორე მიმართულებით პრიორიტეტები ვაკეთოთ. პირიქით, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია უბლოკო სტატუსი გამოვიყენოთ, რათა შემდგომ რეგიონში ისევ დავიბრუნოთ ლიდერის დაკარგული ფუნქციები.

შეუძლებელია საზოგადოება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ევროატლანტიკური სივრცის მიმართ ჩვენი დაუოკებელი სწრაფვის დაპირებებით ვკვებოთ. მაშინ, როცა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ეს ღია კარი პოლიტიკური მოლაპარაკებებისთვის დაიხუროს და ცუდი რამ მოხდეს. სამხრეთ-ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება დღესაც იბრძვის იმისთვის, რომ რეფერენდუმი ჩაატაროს და ეს ტერიტორია ჩრდილოეთ-ოსეთს მიუერთოს. სინამდვილეში ჩვენ ვიცით რომ ოსეთი ერთია და ბუნებრივია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ლეგიტიმაციის ფარგლებში, ცხინვალის სტატუსის დაბრუნება გვინდა. ასევე, აფხაზეთის რომელიც ვფიქრობ, ძალიან რთული და საპასუხიმგებლო ფაქტის წინაშე დგას. მინდა, ექსკლუზიურად თქვენი გაზეთისთვის, მიუნხენის კონფერენციაზე აფხაზეთთან მიმართებაში პუტინის ნათქვამი ფრაზა მოვიყვანო: აფხაზეთი ჩემოდანს გვაგონებს რომელსაც სახელური არ აქვს და ტარებაც ძნელია, მაგრამ მისი დატოვებაც საწყენიაო. ამ სარკაზმის უკან ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მესიჯი იკითხება. ეს არის თემა, რომელიც ჯერ ისევ ღიაა და რაციონალურად მოაზროვნე მომავალი ხელისუფლების განსჯადი საკითხია, რომელმაც პირდაპირი დიალოგის გზით, ეროვნული ინტერესების გამოკვეთა უნდა უზრუნველყოს.





გაიხედეთ ქუჩაში — საქართველოს მოქალაქეები თითქმის, განახევრებულნი არიან, ქვეყანაში საემიგრაციო სამსახური არ მუშაობს, არ არსებობს უკანონო მიგრანტთა გამოვლენის რაიმე ინსტიტუცია თუნდაც, თვითმმართველობის, პოლიციის ან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. საქართველოს, რომელსაც საზღვრების 32% დემარკირებული არ აქვს, მიგრაციის არნახული მასშტაბები გააჩნია და მიგრანტთა ნაკადის რეალურ მოცულობებს ველარ აკონტროლებს, რა თქმა უნდა, ხვალ ან ზეგ ელექტორალური გადაგვარება ემუქრება. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ რომელიმე ერთი პოლუსის მიმართ კერპთაყვანისმცემლობა. უნდა გვჯეროდეს, რომ საქართველო, ამ გლობალიზაციის მორევში, საკუთარ იდენტობას იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თუკი ორპოლარული და არა ერთპოლარული მსოფლიოს მომხრე იქნება.

**— ბატონო დიმიტრი, წეღან ახსენეთ, საქართველომ რეგიონში დაკარგული ფუნქციები უნდა დაიბრუნოსო. ეს რამდენად შესაძლებელი იქნება თურქეთისა და რუსეთის დაძმობილების ფონზე და იმ ვითარებაშიც, როცა აზერბაიჯანი, ირანი და სხვა მოთამაშეები მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს ჩვენს გარეშე წყვეტენ.**

— მაღალი პოლიტიკის დონეზე, ერთმანეთისგან, ბრინჯისა და წიწიბურას გამორჩევა ხდება. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა, რომელსაც დასაწყისში სკეპტიკურად უყურებდნენ, თავის ხალხს სწორი, მოქნილი პოლიტიკის გატარებით გაუმართლა. ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი, აგრარული ბაზრების მფლობელები, რუსეთის მთელ ფედერაციაზე, აზერბაიჯანული ბიზნეს-ჯგუფები არიან. მეტიც, ალიევმა მოახერხა უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო ეკონომიკური დერეფნის გატარება, რომლის ლობისტური მცდელობა სომხეთს, მის პრეზიდენტსა და დასავლეთში სომხურ ლობს ჰქონდათ, რათა მომხდარიყო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მოსკოვსა და ერევანს შორის, რასაც ჩვენთვის გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები უნდა მოეტანა. ოღონდ, პერსპექტივები უნდა განსაზღვრულიყო, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან პირდაპირი დიალოგის გზით და არა აბაშიძე-კარასინის შეხვედრებით. ეს შანსი გავუშვით. რეალურად, დავკარგეთ ბერკეტები, რათა ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკურისთვის დაგვექვემდებარებინა და ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე გვემოქმედა. სამაგიეროდ, ეს ბერკეტები ხელიდან არ გაუშვა აზერბაიჯანმა. აღმოჩნდა რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ვითარება მყისიერად დათბა, თურქეთის დღევანდელ პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტი დადგმული სცენარი არ იყო, არამედ პროცესი რეალურად, გარედან იმართებოდა, გამოიკვეთა ე.წ. თურქი მქადაგებლის გიულენის უკან არსებული ზე-სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესები. სწორედ აქეთკენ მიდის პროცესი და ამაზე მიუთითებს 9 აგვისტოს პეტერბურგში ერდოღანსა და პუტინს შორის საგანგებოდ შემდგარი მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტი, რომელსაც რუსეთის, აზერბაიჯანისა და ირანის პრეზიდენტებს შორის მოლაპარაკება მოჰყვა და ეს ყველაფერი სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრით დაგვირგვინდა. ეს რკალი ვითარცა ყულფი საქართველოს გარშემო ისე შეიკრა რომ ჩვენი ქვეყანა არცერთ კონტექსტში ერთხელაც არ არის ნახსენები. ანუ, 9 აგვისტოდან 15 აგვისტომდე ჩვენს რეგიონში განხორციელდა რევოლუციური მნიშვნელობის პოლიტიკური პროცესი საქართველოს სახელმწიფოს ხსენების გარეშე, რომელიც წესით, ამ პროცესის ცენტრშია გეო-სტრატეგიულადაც და გეო-პოლიტიკურადაც. სად იყურება პრეზიდენტი? სად იყურება პრემიერი? სამარცხვინო ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. რეგიონის მასშტაბით უუფლებო მონაზე უფრო მონა გავხდით, ეს წარმოუდგენელი კოშმარია. დღეს, რეგიონში სრულიად ახალი მნიშვნელობის ცვლილებები იწყება — თურქეთი მთელს რეგიონში სამშვიდობო პლატფორმის შექმნის ახალი დოქტრინით გამოდის და ცდილობს რუსეთთან ერთად ახალი გადანაწილებისა და მოწყობის ფარგლებში ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აიღოს. ეს ჩვენთვის ძალიან სახიფათო თემაა. ვინაიდან, მოგეხსენებათ, თურქეთის მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსია მარტო დღეს და გუშინ კი არა, არამედ გუშინწინ დაიწყო და მთელი ათი წლის მანძილზე იგი ძალიან მჭიდრო და მიზანმიმართულ ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას აწარმოებს საქართველოში, აჭარაში. მას აქვს ძალიან სერიოზული და დიდი ენერგეტიკული ინტერესები აფხაზეთში, სადაც, ჩვენი კანონმდებლობის დარღვევით, არაერთი თურქული დელეგაცია გვინახავს შესული.



**— ახლახან, ე.წ. თურქი მქადაგებელი ახსენეთ. გიულენის შეთქმულება ჩაიშალა. რა საფრთხე შეიძლებოდა საქართველოს, ამ კუთხით, დამუქრებოდა?**

10 გვ. →

# დავით ინჯია: შექმნილი მდგომარეობა მაგონებს ომს, რომელშიც გამარჯვება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია



ბოლო დროს, მედიაში სულ უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობა სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში ყოფილი პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის კანდიდატურის დაყენებას აპირებს. გავრცელებულ ხმებს პროგნოზიც მოჰყვა- სანამ სააკაშვილი ოდესელებს უკრაინის სიყვარულს ეფიცება, მისი ცოლი მეგრელების გულის მოსაგებად ღომს გააკეთებს, „დიდოუ ნანას“ იმღერებს და გაიმარჯვებსო. წამოეგება თუ არა სამეგრელოში მცხოვრები ამომრჩეველი ნაციონალების მორიგ სატყუარას, დრო გვაჩვენებს, ჩვენ კი

სამეგრელოში ნაციონალური მოძრაობის შანსებზე, რეგიონის განვითარების გზებზე, საქართველოს შიგნით და გარეთ მიმდინარე პროცესებზე საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის წევრს,

ბიზნესმენ **დავით ინჯიას** ვესაუბრეთ.

— დავიბადე და გავიზარდე მარტვილის რაიონში. დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი გახლავართ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში დავიწყე და უფროსი ინსპექტორობიდან სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის პოსტამდე მივედი. ვიყავი ახმეტის რაიონული განყოფილების უფროსი, მე-6 სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთაუფროსი, ოპერ-რწმუნებული, მარტვილის რაიონული განყოფილების უფროსი და საფელდიეგერო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე. ციხის კედლების სიმწარეც ვიგემე..

— **როდის და რა მიზეზით დაგაპატიმრეს?**

— 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩემმა ძმამ, ფრიდონ ინჯიამ, რომელიც ყოფილი კავშირგაბმულობის მინისტრი გახლავთ, მარტვილში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. შედეგების გამოცხადება ძალიან გაჭიანურდა და ბოლოს ისე მოხდა, რომ საოლქო-საარჩევნო კომისიაში უბნებიდან შეტანილ ბიულეტენებს ვიღაცამ ცეცხლი მოუკიდა. ხანძარს არეულობა მოყვა და სანამ დამნაშავეს გაარკვევდნენ, შედეგების გამოცხადება შეჩერდა. მოგვიანებით, მე და ფრიდონს არეულობის ორგანიზება დაგვაბრალეს. ამ დროს ჩემი ძმა უკვე გერმანიაში იყო, მაგრამ მე პარალმენტარის უფლებამოსილების ვადა ამომეწურა თუ არა, დამაპატიმრეს. ბრალი მასობრივი არეულობის მოწყობაში, სახელმწიფო ქონების განადგურებაში და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის რამდენიმე საათიან თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დამდეს. დანაშაული 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. საბოლოოდ, გამოძიებამ, რომელიც ორ წელიწადნახევარი გაგრძელდა, ყველა ბრალდება მომიხსნა და გამამართლა, მაგრამ მანამდე საპატიმროში 4 თვეზე მეტ ხანს მაყურყუტეს. მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის კომპენსაციის სახით 150 000 მოვითხოვე, მაგრამ ბიუჯეტში ამდენი ფული არ არისო და 5000 ლარი მაკმარეს. საბოლოოდ, მარტვილის განმეორებით არჩევნებში ფრიდონმა გაიმარჯვა. მე კი მას შემდეგ ბიზნესში ვარ.

**„რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო მეტადაა დაკავშირებული ბიზნესი პოლიტიკასთან. რაც უფრო დიდია ბიზნესმენი, მით უფრო ყურადღების ცენტრშია პოლიტიკოსებისგან. მაკვირვებს როცა ზოგიერთი ამბობს, მე პოლიტიკაში არ ვერევიო. როგორ შეიძლება ქართველი კაციპოლიტიკიდან შორს იდგეს, ხომ ყველა ვხედავთ, რა პირობებშიცაა ჩვენი მოსახლეობა?! ეს შეიძლება თქვას, მაგალითად, ბერლინის ან ფრაიბურგის მაცხოვრებელმა გერმანელმა, სადაც ყველაფერი დალაგებული, დაგეგმილი და გარანტირებულია. ღმერთმა ქნას, რომ ასეთი დრო დაგვიდგეს. ბოლო წლებში რომ არა ჩვენი ხალხის, საზოგადოების აქტიურობა, ახლაც ნაცხელისუფლება გვეყოლებოდა. დღეს ბიზნესი ზეწოლისგან ზედმეტი კონტროლისგან საგრძნობლად თავისუფალია, მაგრამ არა ბოლომდე“. ეს თქვენი ძმის, ფრიდონ ინჯიას ინტერვიუდან ამონარიდია.**

— დიახ, ნამდვილად ასეა, ამიტომ პოლიტიკისგან შორს ვერც მე წავედი და 2014 წელს მარტვილის გამგებლის არჩევნებში მივიღე მონაწილეობა. არჩევნებში „ქართულ ოცებას“ უნდა წარვედგინე, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბოლოს ყოფილი მხედრიონელი წარადგინეს, მე კი ბურჯანაძის სიით გავედი. ბრძოლა შემეძლო და დავამტკიცე, რომ ღირსეული კანდიდატი ვიყავი. პირველ ტურში ვერ დამამარცხეს, მაგრამ მეორეში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა. სამწუხაროდ, ამ ადამიანმა თავისი მოუზომავი მოქმედებით, მარტვილის რაიონის ბიუჯეტი ძალიან დააზარალა: იმის ნაცვლად, რომ რაღაც სამართლებრივი საფუძვლები მოეძებნა, ნაციონალების დანიშნული კადრები ერთი ხელის მოსმით გაათავისუფლა. საბოლოოდ, 38 გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასამართლოს მიმართა, თავი აღიდგინა და მარტვილის მუნიციპალიტეტს ნახევარი მილიონი ლარის გადახდა დააკისრა.

— **მარტვილის გამგებლის არჩევნებზე თქვენ რეგიონის განვითარების საკმაოდ კარგი სამუშაო პროგრამა წარადგინეთ, რომელშიც საუბარი იყო სასათბურე მეურნეობის განვითარებაზე, ერთობლივი საწარმოების გახსნაზე, ტურიზმის განვითარების, განათლებისა და ჯანდაცვის პროგრამებზე, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსების ფონდზე და ა.შ. დღეს რომ გამგებელი იყოთ, აქედან პირველ რიგში რომელ პროგრამას განახორციელებდით?**



— პირველ რიგში, ასამუშავებელია ჩაის ფაბრიკა, წვენებისა და თხილის საწარმოები. წესიერი და საქმიანი გამგებელის პირობებში ამის ორგანიზება შეიძლება. მთავრობას მოვთხოვდი 4-5 მილიონ ლარს. ამ ფულით გავაკეთებდი მაგალითად, ხილის გადამამუშავებელ საწარმოს და წვენების მიმღებ პუნქტს. შემგეგ კი შევეცდებოდი ბიზნესკონტაქტები დამემყარებინა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ბიზნესმენებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ჩემს რეგიონს შემოსავალს, ხოლო ჩემს ქვეყანას ახალ მეგობრებს და პარტნიორებს გავუჩენდი. საინტერესოა, თუ კეზერაშვილს ან რომელიმე კერძო კომპანიის მფლობელს შეუძლია ბიზნეს-კონტაქტების დამყარება, ეს გამგებელმა რატომ ვერ უნდა შეძლოს? მიანდონ მუნიციპალიტეტებს ეს საქმე. დაავალონ საწარმოს შექმნა, რომელიც ბიუჯეტში ფულს შეიტანს და კერძო ორგანიზაციას კონკურენციას გაუწევს. ეს ბიუჯეტსაც შეავსებს, ფასებსაც დაარეგულირებს და ბაზრის არეალსაც გაზრდის. გაითვალისწინეთ, რომ ხალხებმა არაფერი ისე არ აახლოვებს, როგორც ვაჭრობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე, ნაციონალებს ოქრუაშვილის თაოსნობით, რომ არ „ევაჟკაცათ“, დღეს ჩვენსა და ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს შორის გაცილებით ნაკლები მანძილი იქნებოდა.

— **კონკრეტულად, რომელ „ვაჟკაცობას“ გულისხმობთ?**

— ერგნეთის ბაზრობის განადგურებას. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ერგნეთში მთელი საქართველო სავაჭროდ ჩამოდიოდა. ოსები სულ იქ იყვნენ და აფხაზები სამეგრელოს გავლით, კოლონებად შემოდიოდნენ. სამშენებლო მასალებს და კვების პროდუქტებს ყიდულობდნენ და უკან მიდიოდნენ. გაქანებული ვაჭრობა მიდიოდა, რადგან საქონლის ყველაზე იაფად შეძენა მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი. თბილისში რომ ერთი ტომარა თურქული „ფათოღლის“ ფქვილი 54-დან 64 ლარამდე ღირდა, ერგნეთში რუსეთმა 27 ლარად შემოიტანა. სიგარეტი აქ რომ ორი ლარი ღირდა, იქ 30 თეთრად იყიდებოდა. გაჭირვებული ადამიანისთვის ეს იმხელა შვება იყო, რომ ბაზრობას საქართველოს ყველა რეგიონიდან უამრავი ადამიანი მიაწყდა. ქართველ და ოს ბიზნესმენებებს შორის ისეთი ურთიერთობები ჩამოყალიბდა, რომ ერგნეთის ტერიტორიაზე ადგილების ყიდვა და სასტუმროების შენება დაიწყეს. ჩვენი პოლიციელები ძებნილის დასაკავებლად ოსურ ტერიტორიაზე უპრობლემოდ შედიოდნენ და იმათი ბიჭები აქეთ გადმოდიოდნენ. ღამე აქ ვასვენებდით, ვუმასპინძლდებოდით, ძებნილს გავატანდით და გზას ვულოცავდით. ფაქტობრივად, ცხინვალის რეგიონს ასეთი ურთიერთობებით შემოვიერთებდით, რომ ნაციონალებს „წესრიგის დამყარების“ მომიზეზებით, ერგნეთის ბაზრობა არ გაენადგურებინა. ერგნეთის ბაზრობის დახურვამ უკვე შემორიგებული და შემოერთებული ოსები ხელმეორედ დაგვაკარგვინა.

— **„კონტრაბანდასთან მებრძოლებმა“ ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ, როგორც ამბობენ, თავად დაიწყეს კონტრაბანდის ზიდვა..**

— დიახ, ასე იყო. ხუთდღიანმა ომის შემდეგ, ერგნეთში სიცოცხლე მთლიანად ჩაკვდა და ქართველები და ოსები გაუცხოვდნენ. ომში მოქნეულის მოზომვა ძნელია და აგვისტოს ხუთმა დღემ ორივე ერს დიდი ტკივილი დაუტოვა. ეს ყველაფერი კი ნაციონალების ნამუსზეა, რომლებმაც საქართველოს გამთლიანებას ხელი შეუშალეს. ჩვენ უნდა მოვახერხოთ სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან, რუსეთის ფედერაციასთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ყაზახეთთან და ყველასთან, ვისაც ამის სურვილი და პოტენციალი გააჩნია. ქართლის მოსახლეობა ვაშლის გაყიდვით ირჩენდა თავს. დარიალს გადაივლიდნენ და მანქანები შემოჰყავდა, კახეთს ღვინო გაჰქონდა. ნატურალური იყო თუ „გაკეთებული“, ყველაფერი იყიდებოდა. ესეც მოვსპეთ და გავაღარიბეთ ჩვენი ქვეყანა. ახლა „ლიპტონის“ ჩაის ვყიდულობთ, რომელიც მთლიანად ქიმია და საღებავია. მილიონობით დოლარი იხარჯება უსარგებლო პროექტებში, როცა შეიძლება სახელმწიფომ სამეგრელოს რეგიონში სამი ჩაის ფაბრიკა, სხვა რეგიონებში სხვა საწარმოები გახსნას და უცხოურ პროდუქციას: ჩაის. წვენებს, ხორცს, ფქვილს და ა.შ. კონკურენცია გაუწიოს. აი, ამის მერე გაიაფდება ყველაფერი. სახელმწიფო საწარმოების გახსნა სოციალიზმში დაბრუნებას არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩინეთს სახელმწიფო ჩაის ფაბრიკებიც აქვს და კერძოც. როგორც კი სახელმწიფო შეატყობს, რომ კერძომ კარგი ჩაი გამოუშვა და ფასს მოუმატა, თავისი ფაბრიკის დირექტორს ნაკლებ ფასად უკეთესი პროდუქციის გამოშვებას ავალებს. კერძო საწარმო იძულებულია ფასი დასწიოს და სწორედ ეს არეგულირებს სახელმწიფო ფასებს. როგორ უნდა დადგეს ფეხზე სახელმწიფო, რომელიც 150 მილიონი დოლარის ღირებულების ჰიდროელექტროსადგურს 20 000 დოლარად გაყიდის და სახელმწიფო ქონება ვიღაც კერძო პირს ამოფარებული ვიგინდარების ხელში რომ გადავა? ხელისუფლე-

10 გვ.



# პოლიტიკური ხარაკირი

8 გვ.

— ძალიან კარგი შეკითხვაა იქედან გამომდინარე, რომ უმთავრესი სტრატეგია რომლითაც შეიძლება დაინტერესებული სახელმწიფო კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდეს, სწორედ განათლების სისტემის მისეული ხედვის რეალიზაციაში მდგომარეობს. ვგულისხმობ, გიულენს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დედის გიული ალასანიას პირდაპირი ბიზნეს-პარტნიორია. განათლების სფეროში სწორედ, გიული ალასანიას ბიზნეს-ინტერესები იდო და უმაღლესი განათლება ყველაზე უფრო პრიორიტეტული იყო. თუმცა, ამ ყველაფრის უკან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ე.წ. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სასულიერო სკოლების უხვად მომრავლება, სადაც განსაკუთრებით, მაღალმთიანი აჭარისა და გურიის მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის, ხელმისაწვდომი იყო იმგვარი ტიპის სწავლება, რომელიც მათ შორის, გულისხმობდა ფუნდამენტალური ისლამისტური მოძღვრებების შესწავლას და გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილეობის უფლებას. სწორედ, დაზვერვის სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციების საშუალებით ირკვევა, რომ გიულენი ტერორისტული სულისკვეთებით ექსტრემისტულ მოქმედებებს, ახალგაზრდობის აღზრდის საგანმანათლებლო სტრატეგიას სათავეში ედგა მისთვის ყველაზე უფრო საინტერესო ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში. ფაქტია, საქართველოში არაერთი მისი სახელობის სკოლაა გახსნილი, რაც ჩვენი სპეცსამდახურების მიერ დაკვირვების მნიშვნელოვანი ობიექტი უნდა იყოს. ამაზე გვაფრთხილებენ, არც მეტი არც ნაკლები, თავად თურქეთის საპეცსამსახურები, რომელთაც ასეთი რელიგიური ექსტრემიზმისგან პრობლემა შეექმნათ. ეს ხალხი ვინც მოქალაქეებს თავებს კვეთდა, ჩვენგან ყურის ძირში არიან. ფაქტია, რომ გიულენი სწორედ ასეთი იდეოლოგიის მამაა, ამაზე თურქეთში საგამოძიებო ტომები იქმნება. გასაკვირია, მიუხედავად იმისა, რომ მის დაპატიმრებაზე ორდერები გაიცა, იგი კვლავ აშშ—ში არხეინად განაგრძობს ცხოვრებას, რაც ბევრ კითხვას ბადებს. ეს საკითხი რომ შევაჯამოთ, გიულენმა რეგიონში ახალი გეო-პოლიტიკური მოცემულობის შექმნისთვის კატალიზატორის როლი ითამაშა. რამდენად შეინარჩუნებს თურქეთი სტრატეგიას, რამდენად ეფექტური იქნება მისი პოლიტიკური თანამშრომლობა რუსეთთან და რაც ყველაზე მთავარია, შეუქმნის თუ არა ეს ყველაფერი დამატებით პრობლემებს საქართველოს, ეს ახლო მომავლის საკითხია.

— იმ ფონზე როცა რეგიონის მასშტაბით პროცესები დუღს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, ფაქტობრივად, ერთსქესიანთა ქორწინებას დაუჭირა მხარი.

— მისი მხრიდან გასაკვირი არაფერია. მარგველაშვილი გახლავთ ლიბერალური ინტერნაციონალის შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური ძალების ერთ-ერთი ლიდერი. შემთხვევითი არაა, რომ ამ ძალთა შემადგენლობიდან არაერთი ლიდერი მისი უახლოესი გარემოცვისა და გუნდის წევრიცაა. თავისუფლად შეიძლება გავიხსენოთ: ირინა იმერლიშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, კახა კოჟორიძე და ა.შ., რომლებიც მის ეკონომიკურ თუ სამართლებრივი კონსულტაციის გუნდში იმყოფებიან. დააკვირდით, მის განსაკუთრებულ რევერანსებს „თავისუფალ დემოკრატებთან", „რესპუბლიკელებთან". ეს ყველაფერი გასაგებს ხდის მარგველაშვილის დამოკიდებულებას. უბრალოდ, მოხდა მისი სრული ლუსტრირება. მან, პრაქტიკულად, პოლიტიკური კარიერა დაასრულა. დროზე ადრე დაასრულებს თუ არა საპრეზიდენტო უფლებამოსილებას, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. ვფიქრობ, 2016 წლის არჩევნების შედეგებით რამდენად დაჩქარდება მისი თანამდებობიდან წასვლა, საზოგადოების გადასაწყვეტი იქნება. ვინაიდან, ის რაც მარგველაშვილმა გააკეთა, ეს საკუთარი ხალხისათვის დაცინვა, სილის გაწვნა და სულში ჩაფურთხებაა.

მსჯელობა გვიწევს იმაზე, რომ პრეზიდენტმა არ ისურვა სამოქალაქო ქორწინების სუბიექტები ქალი და მამაკაცი ყოფილიყვნენ და რომ აღნიშნული ფაქტი საქართველოს კონსტიტუციით ყოფილიყო დამტკიცებული. ეს არ ისურვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უნდა მთელი საქართველოს 99.9%-ს. ეს საკუთარ მოსალეობას არ უნდა აკადრო. მან თქვა, რომ ამ ცვლილების გატარება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რითაც პოლიტიკური კარიერა დაასრულა. იგი, ახლა, პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნას ინერციით აგრძელებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# შექმნილი მდგომარეობა მაგონებს ომს, რომელშიც გამარჯვება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია

9 გვ.

ბა რომ გაემყარებინათ, რუსებსაც მიჰყიდეს, მაგრამ რუსებმა არც ხელისუფლება გაუმყარეს და ჰიდროელექტროსადგურებიც წაიღეს. დღეს რა ხდება? ვიღაც შეიხს შენს მიწაზე ჰიდროელექტროსადგურების აშენების უფლებას რომ აძლევ – გამომუშავებული ელექტროენერგიის 20% საქართველოს დაუტოვე და დანარჩენი გაყიდეო, ეს ყველაფერი შენ რომ გააკეთო, არ შეიძლება? ვიმეორებ, ეს სოციალუსტური წყობილების დაბრუნებასთან არავითარ კავშირში არაა, რადგან სახელმწიფო საწარმოები ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას აქვს. მიეცი სახელმწიფოს თანამონაწილეობით ოთხ ან ხუთ ქართველს ეს ელექტროსადგური და საშუალება, რომ 50 წლის მანძილზე გამოისყიდოს.

**– როგორც ბიზნესმენს, თქვენ საქართველოში ასეთი ბიზნესის კეთების სურვილი გაქვთ?**

– დღეს, როცა სახელმწიფო ბიზნესმენებს ქონებას აღარართმევს და აღარ ატერორებს, ბიზნესის კეთების კუთხით, საქართველო ყველაზე სტაბილური ქვეყანა მგონია. ასე, რომ საქართველოში ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ჯერ საბანკო სექტორში სესხების საპროცენტო განაკვეთია დასარეგულირებელი. მაგალითად, ამერიკაში ბიზნესის საკეთებლად შეიძლება მილიონი წლიურ 2%-ში მოგცენ. თითქმის ნაჩუქარი ფული გამოდის და ბიზნესის კეთებაც მარტივია. ამასაც იხდის, იმასაც და საქმეც კეთდება. ჩვენმა ბანკებმა უნდა დააწესონ გონივრული საპროცენტო განაკვეთი და არ უნდა მოხდეს სესხის გაცემისას ბინის ჩადება, როცა ადამიანს ერთი საცხოვრისის მეტი არ გააჩნია. ყველა ვხედავთ, რომ გაჭირვებამ ხალხი ქვეყნიდან გააქცია. რუსეთში ერთ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, ერთ მილიონამდე ევროპაშია. ქვეყანაში კი საშუალო ასაკის და მოხუცი ადამიანები ვრჩებით. შექმნილი მდგომარეობა ომს მაგონებს, რომელშიც გამარჯვება სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც საკუთარი თავის გარდა, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ახლო მეზობელთანაც და შორეულ პარტნიორთანაც კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც დავიცვათ. ჩემი ბებიის მამა მარტვილში ოქრომჭედელი იყო. საქართველოში რუსები რომ შემოვიდნენ, პირველი დრაგუნების პოლკი იმ არემარეში დაბანაკდა, სადაც ის ცხოვრობდა. თურმე რუსი სალდათები ხანდახან ბანაკიდან იპარებოდნენ და ქართველ ქალებს აუპატიურებდნენ. ბებიას მამა, რომელსაც საქონლის უზარმაზარი ჯოგი ჰყავდა, პოლკის ხელმძღვანელობას შეხვედრია და უთქვამს, ყოველ კვირას რძეში მოხარშულ უშობელს მოგართმევთ, ოღონდ თქვენი პოლკი ცოტა მაღლა აწიეთ და სალდათები ბანაკიდან არ გამოუშვათო. პირობა ბაბუამაც შეასრულა და რუსებმაც და იმ ტერიტორიაზე სიმშვიდემ დაისადგურა. ხალხი მოშენდა.. ახლა კი გადაშენების გზაზე ვართ დამდგარი. ამ შემთხვევაში ვეთანხმები მოსაზრებებს, რომ სახელმწიფოს ყველა ნაბიჯი დაფუძნებული უნდა იყოს საკუთარი ერის გაძლიერებისა და გამრავლებისათვის. აქედან გამომდინარე, ჩემთვის რეფორმა, რომელმაც თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მიუღებელია.



**– რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კვლავაც ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში რჩება, ერდოღანისა და პუტინის შეხვედრები მეგობრებისა და სტრატეგიული პარტნიორების შეხვედრებს წააგავს. თქვენი აზრით, რისი მომტანი იქნება საქართველოსთვის მოვლენათა ამგვარად განვითარება?**

– რუსეთი და თურქეთი გამონახავენ საერთო ენას, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება, როცა 2021 წელს, ყარსის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო დადგება? ბათუმის თურქეთისთვის გადაცემა-არგადაცემის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთზე და თურქეთზეა დამოკიდებული, ამიტომ რუსეთთან თუ სწორი პოზიცია არ დავიკავეთ, კარგი დღე არ დაგვადგება. ჩვენს გარშემო პოლიტიკური სიტუაცია სრულიად შეიცვალა და ისეთი აღარ არის, როგორიც თუნდაც ნახევარი წლის წინ, მაგრამ მე რომ მკითხოთ, საქართველოს ოსმალეთის იმპერიაზე და ირანზე დიდი ოკუპანტი არ ჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა ჩვენს მეფეებს სამეფო გვირგვინები ჩამოართვა, სამთავრობოები გააუქმა და ათასი უბედურება დაგვმართა, გადაშენების გზაზე მყოფი ქართველები გადაარჩინა და მოშენების საშუალება მისცა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მეფეები მტერთან დიალოგს არ გაურბოდნენ, ხშირად მუსულმანდებოდნენ კიდეც და მოსახლეობას საშუალებას აძლევდნენ, რომ ოჯახები შეექმნათ, გამრავლებულიყვნენ და ჩუმად ხმლები ეჭედათ. აი, ესაა დიპლომატია და არა გამუდმებით მუშტების ქნევა, მაგრამ წარსულს თავი დავანებოთ და დავფიქრდეთ, ახლა რა ხდება ჩვენს ირგვლივ. 8 აგვისტოს ბაქოში აზერბაიჯანის, ირანისა და რუსეთის სახელმწიფოს მეთაურების მსოფლიო მნიშვნელობის სამიტი გაიმართა. სამიტზე მრავალი საკითხი განიხილეს, რომელთა შორის იყო ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტერორიზმთან ბრძოლის და სხვა თემები. სამიტზე ითქვა, რომ ირანისა და ასტრახანის გავლით ევროპას უნდა მიაწოდონ პროდუქცია და ამ დროს საქართველოს წარმომადგენელი მოლაპარაკების მაგიდასთან არ იჯდა, რომ ეთქვა, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ და ჩემს ტერიტორიაზეც გამოატარეთო. რატომ ვწყდებით ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესებს და რა სარგებელს ველით ასეთი პოზიციიდან?

**– 9 აგვისტოს გიორგი მარგველაშვილმა უარი განაცხადა ქორწინების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე. მისი განმარტებით, ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ქვეყანაში ჩატარება შეუძლებელია. რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის პრეზიდენტის არგუმენტები?**

– მარგველაშვილის გადაწყვეტილება აბსოლუტურ უკანონობად მიმაჩნია. თავისი განცხადებით გიორგი მარგველაშვილმა წინა რეფერენდუმები, მათ შორის ისიც ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რომ ჩატარდა, ეჭვქვეშ დააყენა, რაც ძალიან ცუდია. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შედგეს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ ამას იმდენი პროცედურები ჭირდება, მეეჭვება, ვინმემ გააკეთოს.

**– საუბრის ბოლოს, იქნებ თქვენს სამომავლო გეგმებზეც გვიამბოთ.**

– რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვეცდები, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ხელი შევუწყო ბიზნესის განვითარებას და იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა პროგრამა და ხედვაც სწორად მიმაჩნია. ნაციონალებს მხარს ერთმნიშვნელოვნად არ დავუჭერ, იმიტომ, რომ ყველამ ყველაფერი ვიცით. გვახსოვს, ვინ რა გააკეთა და როგორი წარსულით მოვიდა. საუბარს ისევ ჩემი მშობლიური რაიონით დავასრულებ. კარგია, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მარტვილის კანიონის მიმდებარე ტერიტორია მოაწესრიგა, მაგრამ მარტვილის სინამდვილეში არსებობს ასევე საუცხოო კურორტი ლებარდე, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კურორტამდე მისასვლელი გზა ჩამოშლილია, ხალხი ხარებით და ცხენებით ახერხებს ასვლას და დასვენებას, მაგრამ გზის გაკეთება და ჩამოშლილი კლდის დამცავი ბადეებით შეკავება თუ მოხერხდება, დამსვენებელთა რაოდენობა რამდენჯერმე გაიზრდება. დარწმუნებული ვარ, ერთ წელიწადში იმაზე მეტი შემოსავალი იქნება, რამდენიც გზის მოწესრიგებაზე დაიხარჯება, ამიტომ რაც უფრო დროულად გაკეთდება ეს გზა, ყველასთვის უკეთესი იქნება.

ნელი თორდია
571 35 36 88

## ლალი მოროშკინა:

# არ მინდა, რომ თეა სირაძის თემა გიორგი მარგველაშვილმა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქულების ჩაწერისთვის“ გამოიყენოს

**„გიორგი მარგველაშვილის არქივში მინიმუმ, ორი შეცდომაა: თეა სირაძის საქმე და 250 000 ადამიანის ხმის უგულებელყოფა და რეფერენდუმის ჩაშლა.“**

მრავალშვილიანი დედისა და კიკბოქსინგში საქართველოს სამგზის ჩემპიონის (1999, 2002, 2008 წლებში) შეწყალების თხოვნით, თბილისში მორიგი ხელმოწერები გროვდება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თეა სირაძე 2010 წელს, ხუთი ინდოელი მამაკაცის ცემის ბრალდებით დააპატიმრეს. მოგვიანებით, სასამართლომ მას ბრალი ადამიანის გატაცებაში, ფულის გამოძალვასა და ხულიგნობაში დასდო. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი შვილის დედა წარდგენილ ბრალდებებს არ ეთანხმებოდა და აცხადებდა, რომ ინდოელი მამაკაცებისგან თავს იცავდა, სასჯელთა შეკრებითობით, უმძიმესი განაჩენი –28 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. სასჯელთა შეკრებითობის გაუქმებისა და ამნისტიის შედეგად, თეა სირაძის პატიმრობის ვადა 28 წლის ნაცვლად, 13 წლით განესაზღვრა, საიდანაც ნახევარი უკვე მოხდილი აქვს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით, მსჯავრდებულთა შეწყალება პრეზიდენტის უფლებამოსილებაა. მსჯავრდებულის შეწყალებისა და სასჯელმოხდილი პირისთვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტს რეკომენდაციით შეწყალების საკითხთა კომისია მიმართავს, ხოლო რეკომენდაციის განხილვის შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს.

ყოფილი თუ მოქმედი პრეზიდენტების მიერ მსჯავრდებულთა შეწყალება არა ერთხელ გამხდარა სკანდალისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. შეახსენებთ, რომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სიაში მოხვდნენ ისეთი მძიმე დანაშაულებებისთვის გასამართლებული პირები, როგორიცაა მკვლელობა, პედოფილია, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-შეძენა-გასაღება და სხვა.

პატიმრების თემასთან დაკავშირებულ სკანდალებს ვერც გიორგი მარგველაშვილი გადაურჩა: 2014 წელს ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია გიორგი მარგველაშვილის მიერ საკუთარი ცოლის ძმის შეწყალების შესახებ. გადაცემა „რეაქციაში“ სტუმრობისას, პრეზიდენტმა საკუთარი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც ისეთივე ლმობიერი ვიყავი, როგორც სხვა შემთხვევებში. ასეთი შემთხვევა, იგივე ბრალდებაზე შეწყალება, შემდეგაც ყოფილა“. თუმცა, ინდოელი მამაკაცების ცემაში ბრალდებული მრავალშვილიანი დედის საქმეზე გიორგი მარგველაშვილი ნაკლებად გულმოწყალე აღმოჩნდა..

რატომ არ ხდება საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნის მიუხედავად, მრავალშვილიანი დედის შეწყალება, ამაზე თავის ვარაუდებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი **ლალი მოროშკინა** გაგვიმხელს:

– დავიწყებ იმით, რომ ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია, რატომ გახდა ეს საკითხი ასეთი დაუძლეველი. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში, კანონი შვილების რაოდენობაზე შეღავათებს არ ითვალისწინებს, მაგრამ ასეთი მძიმე სასჯელი ქალისთვის, რომელსაც არავინ მოუკლავს, არ დაუყაჩაღებია და არ არის ნარკოტიკების გამსაღებელი, ცოტა არ იყოს, არაადექვატურად მეჩვენება. ვისთანაც ამ თემაზე საუბარი მქონია, ყველა ამბობს, რომ საქმეში არაფერია ისეთი, რაც ამ ქალის ამნისტირებას ხელს შეუშლიდა, თუმცა, პრეზიდენტისთვის უამრავჯერ მიმართვის მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ იძვრის. ეს ყველაფერი უამრავ კითხვას აჩენს: რა ხდება და რა საიდუმლო იმალება ამ საქმის დეტალებში? რატომ რჩება თეა სირაძე ციხეში, როცა გაცილებით მძიმე საქმეებზე გასამართლებული ადამიანები შეწყალებით ციხიდან გამოდიან? წინა ხელისუფლების დროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ვმუშაობდი და ზუსტად ვიცი, რომ სააკაშვილის ამნისტიამ ციხიდან ყველაზე მძიმე და საშიში დამნაშავეები გამოიყვანა. ამაზე მაშინაც ვსაუბრობდი და შემდეგაც დადასტურდა, რომ სააკაშვილის მიერ შეწყალებულმა ადამიანებმა უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინეს. შეწყალებულთა სიაში იყვნენ მკვლელობისთვის და ყაჩაღობისთვის გასამართლებული ადამიანები, ოთხი პედოფილი და ა.შ. ამ საშინელებას წინ ვერ აღუდგნენ შეწყალების კომისიის წევრები, რასაც ქალბატონი ელენე თევდორაძეც ადასტურებს. მაშინ ციხის დირექტორები ამბობდნენ, ისეთი ხალხი გავიდა ციხიდან, ალბათ შვილებს გარეთ ვერ გავუშვებთო.

**– ახალი ხელისუფლების პირობებშიც მოხდა მძიმე დანაშაულებში ბრალდებული ადამიანების შეწყალება თუ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება. დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე დაკავებული ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება გირაოს სანაცვლოდ, სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.**

– სწორედ ამიტომ აჩენს თეა სირაძის საქმე ამდენ კითხვას. ამ თემაზე უამრავ ადამიანთან, მათ შორის, სასჯელაღსრულების მინისტრთანაც მქონდა საუბარი და ვიცი, რომ თეას არანაირი ასოციალური აპათიები არ აქვს. ციხის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, ამ ადამიანს ყველა დადებითად ახასიათებს. ძალიან კულტურული და მოწესრიგებულია, კარგი ურთიერთობა აქვს ციხის ადმინისტრაციასთან და პატიმრებთან. არანაირი აგრესია მისგან არ მოდის.

**– რაიმე ვერსია ან ვარაუდი გაქვთ?**

– ჩემთვის ეს საქმე გამოცანად იქცა. ვიცი, რომ არსებობენ ე.წ. ჩარჩენილი საქმეები, რაც გულისხმობს ისეთ დანაშაულებზე გასამართლებულ ადამიანებს, რომლებზეც მოგვიანებით, სასჯელი შემცირდა ან განახევრდა, მაგრამ გასამართლებულებს ეს არ შეხებიათ. რაც შეეხება ვარაუდს, როგორც პიარ-ტექნოლოგს, მაქვს ერთი ვარაუდი, რომელიც არ მინდა გამართლდეს. არ მინდა, რომ ეს თემა გიორგი მარგველაშვილმა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებზე ქულების ჩაწერისთვის გამოიყენოს, რომ მერე თქვას, აი, გავათავისუფლე და კარგი ბიჭი ვარო. არ მინდა თეა სირაძე პოლიტიკური თამაშისთვის გამოიყენონ, რადგან ქალისთვის, რომელსაც გარეთ ოთხი შვილი ელოდება, ციხეში გატარებული თითოეული დღე უბედურებაა. კიდევ ვიმეორებ, თუ ამ საქმეში რაიმე დაფარულია და საიდუმლო გრიფი ადევს, მაშინ გააკეთოს პრეზიდენტმა განცხადება და უბრალო ადამიანებს გვითხრას, რომ არსებობს თეა სირაძის შეწყალებისთვის ხელისშემშლელი გარემოება. სხვა შემთხვევაში, ეჭვები და ვარაუდები ყოველთვის იქნება.







ნელი თორდია
571 35 36 88

## გიორგი კვირიკაშვილი:

# არსად ისე არ იგრძნობა ქართული სული, როგორც აქ აჭარაში...



პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ აჭარის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა. საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები იქნებიან: **ფატი ხალვაში, ლევან (წუკრი) ბეჟანიძე, მუხრან ვახტანგაძე, კობა ნაკაიძე, ილია ნაკაშიძე, ანზორ ბოლქვაძე.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასევე დაასახელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები: ბათუმის 68-ე ოლქში – **ვახტანგ წულაძე**; ბათუმის 69-ე ოლქში – **ილია ვერძაძე**; ბათუმის 70-ე ოლქში – **ნუგზარ სურმანიძე**; ქობულეთში მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება **გიორგი რომანაძე**; ხელვაჩაურში – **მერაბ პარანაძე**; ხულოში, შუახევსა და ქედაში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს ბიზნესმენი **ხვიჩა შარაშიძე**.



„ჩვენი განვითარების პროგრამის ქვაკუთხედი გახლავთ თითოეული ადამიანის ძირეული უფლებები და მისი პატივისცემა; ჩვენ არ გვჭირდება სახელმწიფო, რომელიც არარად აგდებს ადამიანს, მის ღირსებას; არც ერთი ხიდი, ესტაკადა, გზა, კოშკი არ ღირს დაჩაგრული ადამიანის დაღვრილ ცრემლად, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** აჭარის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას მმართველი გუნდის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე მიაწოდა ინფორმაცია. მან მადლობა გადაუხადა აჭარლებს მხარდაჭერისთვის და ხაზი გაუსვა, როგორც მიღწეულ პროგრესს, ისე ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

„დიდი მადლობა ამ მხარდაჭერისთვის, თქვენი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია რაიმე წარმატებაზე საუბარი. არსად ისე არ იგრძნობა ქართული სული, როგორც აქ აჭარაში. ქართული ცნობიერება ვერასოდეს ვერავინ შეარყია, როცა საქართველოს უჭირდა აჭარლები- ქრისტიანები, მუსლიმანები ყველანი ერთად იდგნენ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის ერთიანობის სადარაჯოზე. დიდი მადლობა ამისთვის! ჩვენ ყველანი ქედს ვიხრით თქვენი პატრიოტიზმის წინაშე! მეგობრებო, დღესაც გვაქვს გამოწვევები. დღეს გვაქვს გამოწვევა გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ერთიანობა მშვიდობიანად უზრუნველვყოთ და ამისთვის უნდა ავაშენოთ თანამედროვე სახელმწიფო. ამიტომ, აქაც თქვენი იმედი გვაქვს. 4 წლის წინ ყველამ ერთად, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, მოვახდინეთ ძირეული გარდატეხა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ჩვენ ავირჩიეთ სრულიად ახალებური მოდელი, რომელიც არ უგულებელყოფს ადამიანის უფლებას. მოდელი, რომელიც თითოეული ადამიანის თავისუფლებას, მის ძირეულ უფლებებს სცემს პატივს. ჩვენ გვინდა სახელმწიფო, რომელიც კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება, მაგრამ არ გადაივლის საკუთარ მოქალაქეებზე. სწორედ ასეთ სახელმწიფოს ვაშენებთ ჩვენ ყველანი ერთად. სწორედ ამისთვის გასული 4 წლის განმავლობაში ჩვენ მივაქციეთ ყურადღება ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვა და ჯანდაცვის უზრუნველყოფა. ეს არის უმნიშვნელოვანესი, რომ დღეს საქართველოს მოქალაქეებს აღარ სჭირდებათ უკანასკნელი გროშების გაღება, საკუთარი ბინების დაგირავება იმისათვის, რომ საკუთარი შვილის, დედის, მამის ჯანმრთელობა უზრუნველყონ და დამეთანხმებით, რომ ეს არის უდიდესი მიღწევა,“ - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა განათლების რეფორმაზე. მისივე თქმით, უმაღლესი განათლების სფეროში გატარდება ძირეული ცვლილებები და წახალისებული იქნება მოთხოვნადი დარგები. პრემიერის განმარტებით, სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტად უნდა იზრუნოს პედაგოგებზე და მათ პრესტიჟზე.

„ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ახალ თაობას, მათ განათლებას. მე სიამაყით მინდა ვთქვა,რომ აჭარაში არაერთი სკოლა აშენდა და გარემონტდა. დღეს ჩვენი მაღალმთიანი რეგიონების ბავშვებს აღარ უწევთ 5,7 თუ 10 კილომეტრის ფეხით გავლა იმისათვის, რომ სკოლაში მივიდნენ. ჩვენ ავწევთ ჩვენი პედაგოგების პრესტიჟს. არ შეიძლება გამუდმებული ტესტირებები, გამოცდები და ყოფნა-არყოფნის რისკის წინაშე დაყენება იმ ადამიანების, რომლებმაც ყველაზე გაჭირვებული წლების განმავლობაში საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ფასად უზრუნველყვეს ჩვენი მომავალი თაობის განათლება და მათი ინტელექტუალური განვითარება. რა თქმა უნდა, ჩვენ უმაღლესი განათლების სფეროში შევიტანთ ძირეულ რეფორმებს. მოთხოვნადი დარგები იქნება უფრო მეტად წახალისებული, უმაღლესი სასწავლებელის კურსდამთავრებული პირდაპირ დასაქმდებიან და იქნება კონკრეტული მოთხოვნა ამა თუ იმ დარგზე. ჩვენ არ გვაქვს უფლება, დანაშაული ჩავიდინოთ საკუთარი ახალგაზრდების წინაშე და 4 წლის განმავლობაში ილუზიაში ვამყოფოთ ისინი, ვაიძულოთ, გაიღონ უკანასკნელი რესურსი იმისათვის, რომ ისწავლონ იმ პროფესიებზე, რომლებიც რეალურად არ არის მოთხოვნადი,“ – აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„მე უნდა ვთქვა ძალიან გულწრფელად, როდესაც აქ ვიმყოფები, მთელი ჩემი ბავშვობა თვალწინ მიდგას. მე ყოველ ზაფხულს ვატარებდი ბათუმში, ქობულეთში და აჭარის სხვა ულამაზეს ადგილებში. მაქვს უდიდესი სითბოს შეგრძნება, როდესაც აქ ვიმყოფები, თქვენს წინაშე. არასოდეს მე არ მახსოვს ასეთი გადაჭედილი აჭარა. ეს არის დამატებითი სიკეთე, შემოსავალი. ეს ყურადღება გაგრძელდება. აჭარის, როგორც ზღვას, ისე მთიან რეგიონებს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მთლიანი აჭარა უნდა ვაქციოთ 12 თვიან კურორტად, რომ წელიწა-









დის ნებისმიერ დროს აჭარა სავსე იყოს ტურისტებით. ეს მიღწევადია იმ პროგრამით, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ. უახლოეს პერიოდში დაიწყება ხულო-ადიგენის გზის მშენებლობა.

აუცილებლად აშენდება და გარემონტდება ბათუმიდან მაღალმთიან აჭარაში მიმავალი გზები თანამედროვე სტანდარტის მიხედვით. აუცილებლად გაგრძელდება სამთო-სათხილამურო კურორტების მშენებლობა და რა თქმა უნდა, გაგრძელდება ის კონცერტები, რომლებიც მრავლად იყო წელს. მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი იქნება. აუცილებელია ამ ტიპის აქტივობის წახალისება იმისათვის, რომ ყველა ოჯახში აჭარაში მივიდეს კეთლდღეობა და ეს არის ჩვენი მთავარი მომავალი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას დავუთმობთ სოფლის მეურნეობას. ნებისმიერი დარგი, რომელიც არ უნდა დაასახელო აჭარაში, არის პერსპექტიული სოფლის მეურნეობის მიმართულებით. დღეს, როგორც არასდროს საქართველოში, იმხელა ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობას. დღეს არის შესაძლებელი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც გააჩნია საქმიანი ინიციატივა, მიიღოს შეღავათიანი პროგრამული დახმარება, სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეგობრებო, ჩვენ არ ვართ კმაყოფილნი ამ მიღწევებით. ჩვენ უფრო სწრაფი განვითარება გვჭირდება და ამისთვის, ჩვენ გაგვაჩნია პროფესიონალიზმი, გამოცდილება და შეკრული გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა. რა თქმა უნდა, შემოვლითი გზების მშენებლობა, ინფრასტრუქტურული პროექტები გაგრძელდება, იმისათვის რომ ეკოლოგიური გაჯანსაღება მოხდეს ჩვენი ზღვისპირა კურორტების და ამის შედეგად აჭარა დაიმკვიდრებს მთელი ევროპის, ასევე ჩვენი სამეზობლოს მასშტაბით იმ სახელს, იმ დიდებას დაიბრუნებს, რომელიც მას ნამდვილად სამართლიანად ეკუთვნის. ჩვენ ყველანი ერთად ამას აუცილებლად მივაღწევთ",-განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მიერ დასახული გეგმების მისაღწევად, საჭიროა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მისი თქმით, ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა ვერ შენარჩუნდება, თუ სახელმწიფოს ყველა მეზობელთან არ ექნება ნორმალური ურთიერთობა.

„ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოება და ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამ მიმართულებით საამაყო. ჩვენ შევძელით გონივრული პოლიტიკით, ერთი მხრივ, შეგვენარჩუნებინა თანმიმდევრული სვლა ევროპისკენ და ევროატლანტიკური ოჯახისკენ და მეორე მხრივ, შევძელით, რომ დაგვეწია დაძაბულობა რეგიონში, ჩვენს სამეზობლოში. საქართველოში სტაბილურობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენ არ გვექნება ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთთან. ეს აუცილებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ან სუვერენიტეტის ხარჯზე. ჩვენ ვართ ის მთავრობა, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს", – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, გვიახლოვდება საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნები.

„ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უნდა გააკეთოს საკუთარი ბრძნული არჩევანი, რა გზას ვირჩევთ ჩვენ- ვირჩევთ გზას, რომელიც სწრაფ განვითარებას იძლევა და რომელიც თითოეულ ოჯახში მოიტანს კეთილდღეობას, რომელიც ადამიანის უფლებებს აყენებს, როგორც უზენაესს ჩვენი მომავალი ნაბიჯების მთლიან სპექტრში, თუ ჩვენ ვირჩევთ სხვა გზას. მე მგონი, აქ შეკითხვის ნიშანი აღარ არსებობს. ამიტომ მინდა წარმოგიდგინოთ ის გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი ადამიანებისგან. ჩვენ ნამდვილად გვეამაყება, რომ ასეთი დეპუტაცია გვეყოლება. ასეთი დეპუტატები ეყოლება აჭარას საქართველოს მომავალ პარლამენტში და აჭარის უმაღლეს საბჭოში", – აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

გიორგი კვირიკაშვილის თქმითვე, ეს მნიშვნელოვანი პერიოდი უნდა გავიაროთ ღირსეულად – არა ძალადობით, არა დაპირისპირებით.

„არა გათითოკაცებული საქართველო, არამედ გაერთიანებული, ერთ მუშტად მდგომი საქართველო, ერთ მუშტად მდგომი აჭარა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, გავაერთიანოთ ჩვენი ერი, ვუზრუნველყოთ ჩვენი მომავალი თაობის უკეთესი, გაფერადებული, აგუგუნებული საქართველო. კეთილდღეობა თითოეული თქვენთაგანის ოჯახში. ჩვენ, მეგობრებო, ყველანი ერთად, „ქართულ ოცნებასთან" ერთად ამას აუცილებლად შევძლებთ და გავაერთიანებთ ჩვენს ქვეყანას. უზრუნველვყოფთ ჩვენი შვილების უკეთეს მომავალს, მხოლოდ სიყვარულით, არა სიძულვილით, მხოლოდ ერთიანობით", – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.





„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა **კახა კალაძემ** სიტყვით გამოსვლისას ტურიზმის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, მცირე ბიზნესის განვითარების, უცხოური ინესტიციების მოზიდვის კუთხით აჭარის რეგიონის დიდ პერსპექტივებზე ისაუბრა.

„აჭარაში დღეს, პირველ რიგში, თავისუფლების მზე ანათებს და ჩვენ ამ მშვენიერი კუთხის პატრონებმა, ამ მშვენიერი ცის და ზღვის პატრონებმა, თავისუფლებმა და ლაღებმა, კანონით დაცულებმა და ქვეყნის ხელისუფლებით მხარდაჭერილებმა ქვეყანა უნდა ავაშენოთ ისეთი, როგორზეც ოცნებობდა ჩვენი წინაპარი, თითოეული სახელოვანი მოქალაქე, ყველა ის, ვინც ეს ისტორიული კუთხე შეუნარჩუნა დედა-სამშობლოს და ევროპული სტილის ქალაქად აქცია ბათუმი!" – აღნიშნა კახა კალაძემ. ®

## გიორგი კვირიკაშვილი:

# ჩვენ არ ვართ უშეცდომო, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ისეთი, ქვეყნის სიყვარულით არ ყოფილიყო ნაკარნახევი



„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არიან: გლდანის მე-20 ოლქი **კობა კობალაძე**, გლდანის 21-ე ოლქი **ლევან კობიაშვილი**, გლდანის 22-ე ოლქი **ლევან კობერიძე**, დიდუბის მე-15 ოლქი **ზაზა პაპუაშვილი**, დიდუბის მე-16 ოლქი **ილია წულაია**, ვაკის მე-2 ოლქი **ბიძინა გეგიძე**, ვაკის მე-3 ოლქი **ზაზა ხუციშვილი**, ისნის მე-8 ოლქი **ირაკლი აბუსერიძე**, ისნის მე-9 ოლქი **დავით ჭიჭინაძე**, ისნის მე-10 ოლქი **ბექა ნაცვლიშვილი**, კრწანისის მე-7 ოლქი **ბექა ოდიშარია**, ნაძალადევის მე-17 ოლქი **სოფო კილაძე**, ნაძალადევის მე-18 ოლქი **მიხეილ ყაველაშვილი**, ნაძალადევის მე-19 ოლქი **ზაზა გაბუნია**, საბურთალოს მე-4 ოლქი **მამუკა მდინარაძე**, საბურთალოს მე-5 ოლქი **ნინო გოგუაძე**, საბურთალოს მე-6ოლქი **ლევან გოგიჩაიშვილი**, სამგორის მე-11 ოლქი **გიორგი მოსიძე**, სამგორის მე-12 ოლქი **მარიამ ჯაში**, სამგორის მე-13 ოლქი **შოთა ხაბარელი**, ჩუღურეთის მე-14 ოლქი **გია ვოლსკი**.

პარტია მაჟორიტარი დეპუტატობის კანიდატს არ ასახელებს მთაწმინდის პირველ ოლქში და მხარს უჭერს დამოუკიდებელკანდიდატს სალომე ზურაბიშვილს.

„ჩვენ ვთვლით, რომ ქალბატონი სალომეს ყოფნა ქართულ პოლიტიკაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული ემიგრაციის, არის უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული პოლიტიკისთვის და მივიღეთ გადაწყვეტილება არ დავაყენოთ კონკურენტი ამ ოლქში. მინდა წარმატება ვუსურვო ქალბატონ სალომეს. ეს არის ერთადერთი ასეთი პრეცედენტი“, - აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც მხოლოდსიყვარულით და თავდადებით ემსახურება საკუთარ ხალხს.

„მეგობრებო, ჩემო საყვარელო თბილისელებო, კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო უდიდესი პატივისცემა თქვენს წინაშე. მინდა ქედი მოვიხარო თბილისის გმირობის წინაშე და მინდა კიდევ ერთხელ გთხოვოთ კონსოლიდაცია, გაერთიანება საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. მე მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის ძალა, რომელიც შეძლებს ჩვენი დახლეჩილი საზოგადოების სიყვარულით, უკეთესი მომავლის დღის წესრიგით გაერთიანებას. მე მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ჩატეხილი ხიდის აღდგენას ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. მე მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მხოლოდ სიყვარულით და თავდადებით ემსახურება საკუთარ ხალხს, ნამდვილად არ არის ფუფუნება ამ ადგილას დგომა და ამ მოვალეობაში ყოფნა. ეს მხოლოდ და მხოლოდ დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა ქვეყნის და თითოეული ჩვენი მოქალაქის წინაშე. ჩვენ ვართ ის გუნდი, რომელსაც მკაფიოდ, კონკრეტულად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმა გვაქვს, როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების მეორე დღიდან მოყოლებული, როგორ ჩავაბაროთ ჩვენს ქვეყანას ოთხი წლის თავზე დღეიდან უკეთესი, გაფერადებული, აგუგუნებული და უფრო სიყვარულით აღსავსე საქართველო. დიდი მადლობა ამ მხარდაჭერისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არ გაგიმტყუნოთ იმედები“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, თბილისის საზოგადოებამ ყველაზე მეტად იწვნია თავის თავზე ჩარეცხილად კვალიფიცირება და ეს აღარასოდეს უნდა განმეორდეს.

„ქართულ ოცნებას“ ჰყავს გამოცდილი და ქვეყნის სიყვარულით ანთებული ადამიანებისგან შემდგარი გუნდი. ჩვენი გუნდი შედგება ძველი თანამებრძოლებისგან და ახალი წევრებისგან. ეს არის ის სიმფონია, რომელიც ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას გააერთიანებს, ჩვენ ვაჩვენეთ ამის მაგალითები. არ შეიძლება, საზოგადოება დახლიჩო. არავინ ისე, როგორც თბილისის საზოგადოებამ იწვნია თავის თავზე ჩარეცხილად კვალიფიცრება და ეს აღარასოდეს უნდა განმეორდეს. ჩვენ არც ერთი ადამიანი არა გვყავს დასაკარგავი. ყველას, ვისაც ანთებული აქვს გული ქვეყნის სიყვარულით და, ვისაც აქვს უნარი, ჩვენს ქვეყანაში მოიტანოს პროგრესი, განვითარება, ყველასთვის იქნება ადგილი ჩვენს ქვეყანაში. მხოლოდ და მხოლოდ ასე, საზოგადოების გაერთიანებით, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით და არა სიძულვით შევძლებთ „ქართული ოცნება“, რომ დღეიდან 4 წლის თავზე ყველა ოჯახმა იგრძნოს საკუთარ თავზე კეთილდღეობა. მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ერთიანობით, ერმანეთის განსხვავებული აზრის შეგუებით შეიძლება დამშვიდება საზოგადოების და ქვეყანაში პროგრესის უზრუნველყოფა“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, როდესაც ქართული საზოგადოება ეუბნებოდა არას ძალადობას, ეუბნებოდა არას ქართული ფასეულობების ფეხქვეშ გათელვას, ყოველთვის ყველაზე ხმამაღლა ისმოდა თბილისის ხმა და სწორედ თბილისზე გადიოდა ბრძოლის ფრონტიდა წინა ხაზი.

„ჩვენ ყველამ ერთად მნიშვნელოვანი პერიოდი გამოვიარეთ, გამოვიარეთ პერიოდი, როდესაც ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლებები იყო ფეხქვეშ გათელილი. ქართველმა ხალხმა იბძროლა ყველაფერი ამის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა გრძელდებოდა წლების განმავლობაში. როდესაც ქართველი ხალხი დაიქანცა ამ ბრძოლაში, 2011 წლის შემდგომაზე ბიძინა ივანიშვილმა გამაოცხადა გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე და შეეხიდა ქართველ ხალხს ამ ბრძოლაში. ბრძოლაში, როდესაც ქართული საზოგადოება ეუბნებობდა არას ძალადობას, ეუბნებოდა არას ქართული ფასეულობების ფეხქვეშ გათელვას, ყოველთვის ყველაზე ხმამაღლა ისმოდა თბილისის ხმა დასწორედ თბილისზე გადიოდა ბრძოლის ფრონტი და წინა ხაზი. სწორედ ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებული პატივია წარვდგე






დღეს თბილისის წინაშე, როგორც იმ პოლიტიკური ძალის ლიდერი, რომელმაც გარდატეხა შეიტანა საქართველოს განვითარებაში. ეს გარდატეხა მოგვევლინა იმ დროს, როდესაცთითქოსდა იმედი იყო გამქრალი და რაღაც ექსტრაორდინარული უნდა მომხდარიყო, რათა გადარჩენის გზა გამოჩენილიყო. სწორედ ამიტომ შეგვიძლია, დღეს ამაყად შევხედოთ ჩვენს თბილისელებს თვალებში და ვთქვათ, რომ გასული 4 წლის განმავლობაში, ჩვენ შევძელით მოქალაქეებისთვის მიგვეცა ყველაზე მთავარი თავისუფლება, თავისუფლად სუთქვის ბედნიერება. თავისუფლად საუბრის, ჩვენი თუნდაც ყველაზე კრიტიკული აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ეს ძალიან დიდი მონაპოვარია“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის 4 წლის მუშაობაც შეაფასა და განაცხადა, რომ გასული 4 წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ შეძლო ის, რომ ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს მიხედა.

„ეს არის ჩვენი მოქალაქეების ჯანდაცვის უფლება. ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უფლება. მარტო ც ჰეპატიტის პროგრამით ათასობით სიცოცხლე გადაჩრა და ათასობით ოჯახი გადარჩა გაღატაკებას. ალბათ ყველას უსარგებლია საყოველთაო ჯანდაცვის სერვისით, დამეთანხმებით, რომ ეს არის ფუფუნება, რომელიც ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც არ აქვს. არასოდეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სოფლის მეურნეობას არ მიქცევია იმ დონის ყურადღება და ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, როგორც ეს ბოლო 4 წლის განმავლობაში ხდებოდა. მრავალი პროგრამა, სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა, შეღავათიანი აგროკრეტიდები, დანერგე მომავალი, ასევე მიკროდაფინანსების და მიკროგტანტების პროგრამა, ასევე აწარმოე საქართველოში, ყველაფერი ეს შვებად მოევლინა ჩვენს მოსახლეობას. ეს ყველაფერი გამიზნულია, რათა საქართველომ აალორძინოს საწარმოო პოტენციალი“, -აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა საქართველოში გახსნილ პირველ ტექნოპარკზეც გაამახვილა ყურადღება, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველი დამწყები ბიზნესის დაფინასების ფონდი დაფუძნდა, რომელიც განკუთვნილია ახალგზრადების ინოვატორული იდეების დასაფინასებლად.

„ესეც ძალიან დიდი მიღწევაა. სულ ცოტა ხნის წინ გადავდგით ნაბიჯები საქართველოში პროფესიული განათლების საჯარო, კერძო პარტნიორობის მოდელის შესაქმენლად, ესეც დიდი მიღწევაა. ჩვენ არ ვართ თვითკმაყოფილნი, ჩვენ ვხედავთ რამხელა რესურსი არსებობს ქვეყანაში განვითარებისთვის. ჩვენ არ ვართ არც უშეცდომო, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით ბოლო 4 წლის განმავლობაში არ ყოფილა ისე, რომ ქვეყნის სიყვარულით არ ყოფილიყოს ნაკარნახევი. ეს არის ჩვენი მთავარი საამაყო და ჩვენ ასე ვაპირებთ მომავალი 4 წლის განმავლობაში გაგრძელებაში. ჩვენ გვჯერა და არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ასე დარწმუნებული, როგორც ახლა ვარ, თუ რამდენად სწორია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ სწორედ ამ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროს მოსახლეობამ მხარი“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.




პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა „ქართული ოცნება-დემოკრატიულისაქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა **კახა კალაძემ**.

კახა კალაძის თქმით, „ქართული ოცნება“ პროფესიონალებით გაძლიერებული, განახლებული ქმედითი გუნდია – პროგრესული ხედვით, მოქმედების ზუსტი გეგმითა და თანამედროვე მიდგომების მქონე პრინციპული ლიდერით.

„ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაამტკიცა, რომ ხალხზე მზრუნველი ადამიანური ძალაა, რომლისთვისაც მთავარი ჩვენი გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანებაა. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ქვეყნის მომავლის შექმნა მხოლოდ ერთიან, თავისუფალ საზოგადოებას შეუძლია. მეგობრებო, ჩვენი გზა – ევროპული გზაა, ჩვენი მიზანი – ცივილიზებულ სამყაროში ღისეული ადგილის დამკვიდრებაა, იმ კანონის უზენაესობაა, რომელიც, საბოლოოდ, ქვეყნის წინაშე ჩადენილ არც ერთ დანაშაულს დატოვებს უპასუხოდ“, – განაცხადა პარტიის გენერალურმა მდივანმა. ®

# სტაბილური ვლადიმერ პუტინისა და არასტაბილური ერდოღანის შეხვედრა

**სანკტ-პეტერბურგში თურქეთისა და რუსეთის ლიდერებს შორის სამშაბათს გამართული შეხვედრა, რასაკვირველია, მსოფლიო პრესისა და ანალიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა**




„პუტინთან ერდოღანის დაახლოებას მხოლოდ დრო სჭირდებოდა“, და ახლა სიტყვებს საქმეც მოჰყვება, ამტკიცებს **Tageszeitung.** „მოსკოვი-ანკარის ღერძზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა“ – საწინააღმდეგო აზრს ავრცელებს Die Welt: ორი ავტოკრატის კავშირსა და რუსეთ-თურქეთის ეკონომიკურ ალიანსზე ლაპარაკი სინამდვილეს არ შეესაბამება. თურქეთის შეხვედრა პუტინთან „ამერიკის შეერთებული შტატების საზიანოდ რუსეთის რეგიონული გავლენის გასაფართოებლად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია“, – შფოთავს ამერიკული პრესა.

**Tageszeitung:** ორი ავტოკრატის შეხვედრის შემდეგ „თურქეთის სამთავრობო მედიასაშუალებები მძაფრ აღტაცებას გამოხატავენ“, – წერს გამოცემა. ლაპარაკია, მაგალითად, „დიდი მეგობრობისა“ და იმის შესახებაც, რომ ანკარასა და მოსკოვს შორის ახლა ყველაფერი დალაგდება. პუტინზე, „როგორც ძვირფას მეგობარ ვლადიმერზე“ – ერდოღანის ამ ნათქვამის ციტირების ცდუნებას ვერ გაუძლეს.

**Yeni Akit** თურქული გაზეთია და რა გასაკვირია, რომ ერდოღანს „მოსკოვის დამპყრობელს“ უწოდებს და მკითხველს ახსენებს, ცხრა თვეც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც ერდოღანისთვის რუსეთი ბოროტების განსახიერება იყოო. „რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ მოსკოვის დაწესებულმა სანქციებმა დარტყმა მიაყენა თურქეთის ეკონომიკას“, – აღნიშნავს ჟურნალისტი.

„ამიტომ პუტინთან ერდოღანის დაახლოებას მხოლოდ დრო სჭირდებოდა, ხოლო პუტჩის მცდელობამ და ერდოღანის საერთაშორისო იზოლაციამ მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი“. პუტინისა და ერდოღანის განცხადებების შემდეგ უნდა ველოდოთ, რომ უახლოეს მომავალში სიტყვებს კონკრეტული მოქმედებებიც მოჰყვება, მათ შორის ორმხრივი შეთანხმების გაფორმება, რუსეთისა და თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღება, ტურისტული ჩარტერების აღდგენა, აგრეთვე თურქულ სურსათზე ემბარგოს გაუქმება.

**Die Welt:** „მოსკოვი-ანკარის ღერძზე ლაპარაკი სრულიად



უადგილოა“, – ამტკიცებს გამოცემა. თურქეთის პრეზიდენტის სანკტ-პეტერბურგში ვიზიტის შემდეგ ლაპარაკობენ როგორც ორი ავტოკრატის კავშირზე, ისე რუსულ-თურქულ ეკონომიკურ ალიანსზეც. არც ერთი და არც მეორე სინამდვილეს არ შეესაბამება, წერს მიმომხილველი ჟაკ შუსტერი.

„პუტინისა და ერდოღანის შეხვედრის შედეგებით აშკარად ჩანს, რომ თურქეთის პრეზიდენტი ლამის ცარიელი ხელებით გაემგზავრა შინისკენ. მეტიც, თავისმა რუსმა კოლეგამ სილაც გააწნა: პუტინმა ვერ მოითმინა და მედიის წარმომადგენლებს უამბო, რომ ანკარაში ბოლოს და ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა – ამით იმაზე მიანიშნა, რომ აქამდე საღი აზრი არ ჰქონიათ“, – წერს ავტორი.

სირია-თურქეთის საზღვარზე რუსი ბომბდამშენი თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ დაწესებულ სანქციებს ნელ-ნელა გააუქმებენ, ხოლო რაც შეეხება სირიას, მხარეებმა მხოლოდ იმის შესახებ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მათ ერთიანი აზრი არ გააჩნიათ.

„როგორც ჩანს, ასეთია თურქეთის ახლანდელი ლიდერის ბედი მსოფლიო პოლიტიკაში: ფიცხმა ერდოღანმა ბოლო ათწლეულში ვერც ერთ საგარეოპოლიტიკურ წამოწყებას თავი ვერ გაართვა. იგი ვალდებულია, ბოლოს და ბოლოს, მოირგოს ძველი სიბრძნე იმის შესახებ, რომ ძალაუფლება უჩუმარი ნაბიჯებით დადის.

„თურქეთი სჭირდება ევროპას და ევროპას – თურქეთი. სწორედ ამიტომ შევიდა ქვეყანა ნატო-ში 1952 წელს. ალიანსის წევრობა საჭირო იყო იმისთვის, რომ თურქეთს არ დაეწყო დრეიფი აღმოსვლეთის მიმართულებით და დასავლეთს შეენარჩუნებინა ბოსფორის კონტროლი. მოგვიანებით ამ ქვეყანამ ახლოაღმოსავლურ ექსტრემიზმთან ბრძოლის როლი მოირგო. არც ერთ ამ მიზეზს სადღეისოდაც არ დაუკარგავს აქტუალობა“, – ასკვნის გამოცემა.

**The Wall Street Journal:** „ამ კვირაში პუტინმა ამერიკის შეერთებული შტატების საზიანოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რუსეთის რეგიონალური გაფართოებისკენ“, – სწორედ ასე აფასებს გამოცემა რუსეთისა და თურქეთის ლიდერების შეხვედრას.

„პუტინზე უკეთ არავის შეუძლია იხეიროს, როცა ხელთ საშუალო სიძლიერის ბანქო უჭირავს, ერდოღანი კი დაეხმაროს თამაშში, რომელსაც რუსი ლიდერი აღმოსავლეთში თავისი ძლევამოსილებისთვის ეწევა“, – წერს გამოცემა. კრემლს სურს, თურქეთ-სირიის საზღვრის მეშვეობით შეწყდეს ალეპოს მეამბოხე სუნიტების მომარაგება, კიდევ უფრო წააჩხუბოს ერთმანეთს ერდოღანი და ამერიკა იმისათვის, რომ შეასუსტოს ამერიკის რეგიონალური გავლენა, აგრეთვე შეარყიოს ნატო-სთან თურქეთის კავშირი.

ამასობაში ერდოღანი ცდილობს, ამერიკისგან ფეთჰულა გიულენის ექსტრადირებას, რომელსაც იგი თურქეთში ამასწინანდელი პუტჩის ორგანიზაციაში სდებს ბრალს. ერდოღანს შეუძლია გამოიყენოს ამერიკის უარი გიულენის ექსტრადირების შესახებ რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საბაბად ან ამერიკას აუკრძალოს „ისლამურ სახელმწიფოზე“ საჰაერო დარტყმებისთვის თურქული ავიაბაზის გამოყენება.

ყველაფერი ეს ნათლად გვაჩვენებს, რომ: ობამას ნაბიჯებმა – კერძოდ, „სირიიდან წასვლამ“ ან „სირიაში ძალაუფლებაზე უარის თქმამ“ – შექმნა ვაკუუმი, რომელსაც ახლა პუტინი ავსებს. „ობამამ კიდევ უფრო დააშორა სირიაში ამერიკის კურსი რუსეთის მისწრაფებებს. ასეთია ამერიკის „გამომშრალი“ გავლენა, რომელიც მემკვიდრეობად გადაეცემა შემდეგ პრეზიდენტს.

**The New York Times:** სანკტ-პეტერბურგში ორი ლიდერის შეხვედრისას ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო „შეძლებენ თუ არა ისინი წინ წაიწიონ იმ კონფლიქტის დასასრულებლად, რომელშიც უკვე 470 ათასზე მეტი სირიელი დაიღუპა, ხოლო მილიონობით დევნილი გახდა. სირიის საუბედუროდ, პასუხი უარყოფითია. სიტყვაც კი არ თქმულა, რომ მათ შორის არსებული უთანხმოებები ოდნავ მაინც შერბილდა“.

„გაეროს უშიშროების საბჭოს მიზანი იყო პოლიტიკური მოწესრიგება მოლაპარაკებების გზით, რომელიც დაასრულებდა ომს, დანიშნავდა კოალიციურ მთავრობას, რომელშიც ასადის მომხრეებიც იქნებოდნენ და ოპოზიციის ძალების წარმომადგენლებიც, და რომელიც ქვეყანას უპატრონებდა მას შემდეგ, რაც ასადი ძელისუფლებას ჩამოსცილდებოდა. მოლაპარაკებებისა და წარუმატებელი დიპლომატიური ძალისხმევის წლებმა ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა მშვიდობიან მოსახლეობას და მით უმეტეს, ვერ დაასრულა საბრძოლო მოქმედებები“, – ასკვნის გამოცემა.



# რატომ „დამოყვრდნენ" რუსეთი და თურქეთი?



არც ერთი სხვა ქალაქი არ განასახიერებს რუსეთის პროდასავლურ ორიენტაციას, როგორც სანკტ-პეტერბურგი. პეტრე პირველმა ბრძანა, ამოეშროთ ჭაობები, რომ „ევროპაში ფანჯარა გაეჭრათ“. ეს 1703 წელს იყო. 2016 წლის ზაფხულში კი ეს ქალაქი სულ სხვა რამის სიმბოლოდ იქცა: ახლა, გარკვეული პერიოდი მაინც, იგი იმ ადგილის განსახიერება იქნება, სადაც რუსეთმა ზურგი აქცია დასავლეთს.

ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, უკრაინასთან ომმა და ყირიმის ანექსიამ კი კიდევ უფრო დააჩქარა. ახლა თავის პარტნიორებს მსგავსი სიგნალი თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმაც გაუგზავნა.

სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ერდოღანი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტით გაემგზავრა არა ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, რომლებთანაც დაახლოებას ესწრაფვოდა მრავალი წლის განმავლობაში, არც ამერიკის შეერთებულ შტატებში – თავის მთავარ ნატოელ პარტნიორთან (სხვათა შორის, ამერიკის შემდეგ თურქეთს ყველაზე დიდი არმია ჰყავს ალიანსის წევრებს შორის); ბრიუსელის ნაცვლად სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა და შეხვდა პუტინს, და არა მერკელს ან ობამას.




თურქეთის პრეზიდენტი დასავლელ ლიდერებს წაეჩხუბა, ბოლო წვეთი კი გადატრიალების მცდელობა აღმოჩნდა. ვიდრე ჩრდილოეთში გაემგზავრებოდა, ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ გამოხატა გულისტკივილი და იმედგაცრუება ნატოელი ძველი მეგობრების გამო. ალიანსმა არც ისე მკაფიო და გასაგები რეაქცია მოახდინა პუტჩზე, საერთოდაც მათ მხარი დაუჭირაო. ერდოღანს არ მოეწონა დასავლეთის ლიდერების განცხადებები, კერძოდ, ანგელა მერკელის ნათქვამი დემოკრატიული სტანდარტების შესახებ. გარდა ამისა, პრეზიდენტი ვერ გრძნობს ევროპელთა სოლიდარობას: გადატრიალების მცდელობის შემდეგ ევროკავშირის არც ერთი საგარეო მინისტრი არ სწვევია თურქეთს. ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი მხოლოდ აგვისტოს ბოლოს გეგმავს ვიზიტს.

## ომიდან პარტნიორობისკენ

უფრო მჭიდრო გახდა ერდოღანის ურთიერთობა პუტინთან. სამშაბათს მთელმა მსოფლიომ იხილა ორი პრეზიდენტის შეხვედრა კონსტანტინეს სასახლეში – პუტინის მდიდრულ რეზიდენციაში, რომელიც ფინეთის ყურეს გადაჰყურებს. შეხვედრის დროს ორივე ლიდერმა არაერთი მეგობრული ჟესტის დემონსტრირებაც მოახდინა. დარბაზში მყოფმა ჟურნალისტმა მოგვიანებით აღნიშნა, დაძაბულობა მაინც შეიმჩნეოდაო.

ეს არც არის გასაკვირი – გავიხსენოთ, არც ისე დიდი ხნის წინ ერდოღანიცა და პუტინიც მზად იყვნენ, ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყვნენ. რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა. პუტინმა ამ ინციდენტს „ზურგში დარტყმა“ უწოდა. პარტნიორები უცაბედად მტრებად იქცნენ, და ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტები გაწყვიტეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერდოღანმა ბოდიში მოუხადა დაღუპული პილოტის ოჯახს, აგრეთვე თურქეთში გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობა დათბა.

ამგვარად, ერთი წლის განმავლობაში პუტინი და ერდოღანი, სულ ცოტა, ერთხელ მაინც 360 გრადუსით შემოტრიალდნენ. რამდენადაც სძულდათ ერთმანეთი, იმდენადვე სწრაფად კვლავ დამეგობრდნენ.

## სირიის საჩოთირო თემას მხარეებმა თავი აარიდეს

ერდოღანმა მადლობა გადაუხადა პუტინს იმისთვის, რომ გადატრიალების მცდელობის ჩახშობისთანავე დაურეკა და მხარდაჭერა აღუთქვა. ამან „ბედნიერება მიანიჭა ჩვენს ხალხს, ფრთები შეასხა“, – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა. სავარაუდოდ, იგი კმაყოფილია, რომ პუტინმა არ გააკრიტიკა ჯარისკაცების, მოსამართლეებისა და სახელმწიფო მოხელეების მასობრივი გათავისუფლების გამო. შეიძლება ერდოღანმა რუსეთი ერთგვარ მისაბაძ მაგალითადაც კი მიიღო სახელმწიფო მოწყობისა და ერთი ლიდერის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის თვალსაზრისით.

სანკტ-პეტერბურგში ერდოღანმა თურქეთში დემოკრატიის განმტკიცების შესახებაც გააკეთა განცხადება. პუტინმა, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ თურქეთის ხელისუფლება შეძლებს კანონის უზენაესობის აღდგენას. „ჩვენ ყოველთვის ვებრძვით მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს“, – აღნიშნა მან. აი, ორი ფარისევლის განცხადებები.

ერდოღანის თქმით, ეს შეხვედრა „ახალი დასაწყისია“, აგრეთვე თავის „მეგობარ ვლადიმერთან ახალი ეპოქის დასაწყისიც“ – ეს ისტორიული ვიზიტიაო. ორივე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არიან დაუბრუნდნენ ადრინდელ მეგობრულ ურთიერთობას ორი ქვეყნისა და ორი ხალხის საკეთილდღეოდ. „ჩვენი ქვეყნები ითხოვენ მეგობრული ურთიერთობის აღდგენას“, – განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

მოლაპარაკებები სამ საათს გაგრძელდა – თავდაპირველად ერთი ერთზე, შემდეგ კი – მინისტრებისა და საქმიანი წრეების თანდასწრებით.

## ეკონომიკა პოლიტიკის ნაცვლად

პრეზიდენტები ცდილობდნენ, საჩოთირო თემები არ განეხილათ. საიდუმლო არ არის, რომ დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები აქვთ, უპირველეს ყოვლისა, სირიაში შექმნილ სიტუაციასა და იქაური პრეზიდენტის, ბაშარ ასადის მომავალზე. როცა ამ თემას მიადგნენ, მოლაპარაკებებში ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩაერთნენ.

ამის ნაცვლად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, პირველი შეხვედრა დაეთმო ეკონომიკას. სასწრაფოდ აღადგინეს მილიარდიანი ერთობლივი პროექტები, კერძოდ, გაზსადენ „თურქეთის ნაკადის“ მშენებლობა, რომლითაც რუსული გაზი ხმელთაშუა ზღვის გავლით უნდა მიეწოდოს თურქეთს და შემდეგ – ევროპას. ამასთან, რუსეთი ცდილობს, ამ ჯაჭვიდან გამორიცხოს ტრანზიტული ქვეყნები – უკრაინა და ბელორუსი. გარდა ამისა, რუსი სპეციალისტები მონაწილეობენ პირველი თურქული ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში. თურქეთის მხარე, უწინარესად, მიესალმება თურქეთში რუსი ტურისტების ნაკადს, რომლის რაოდენობა განვლილ თვეებში 90 პროცენტით შემცირდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თურქ მწარმოებლებს იმედი აქვთ, რომ მოსკოვი გააუქმებს მათი პროდუქციის იმპორტზე აკრძალვას. ეკონომიკის კრიზისით შეწუხებული ორივე მხარე ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას.

პოლიტიკური თვალსაზრისით, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა წაადგება, უპირველეს ყოვლისა, პუტინს, რომელიც შეეცდება, მაქსიმალურად იხეიროს ერდოღანისა და მისი დასავლელი პარტნიორების დაშორებით. ნელ-ნელა კვლავ იზრდება მოსკოვის გავლენა, რომელიც ესწრაფვის, რადაც არ უნდა დაუჯდეს, კვლავ მსოფლიო სახელმწიფო გახდეს. გარდა ამისა, ევროკავშირის ერთიანობის ნებისმიერი რყევა – გნებავთ ვაშინგტონთან, გნებავთ სხვა ახლო პარტნიორებთან, – ასუსტებს რუსეთზე დასავლური კოალიციის გავლენას. ეს ეხება პოლიტიკას, მაგრამ უფრო მეტად – ეკონომიკას (გავიხსენოთ სანქციები).



ორივე პარტნიორს აერთიანებს დასავლეთთან გაუარესებული ურთიერთობა. საუკუნოვანი დაპირისპირების მიუხედავად, რუსეთი და თურქეთი დიდი სახელმწიფოებია, რომლებიც ისტრორიული, კულტურული და გეოგრაფიული თვალსაზრისით დაკავშირებული არიან ევროპასთან, მაგრამ ევროპა თავის სწორად და ტოლად არასოდეს აღიარებს. ოდესღაც პუტინიც და ერდოღანიც ცდილობდნენ ევროპასთან დაახლოებას. ამჟამად ინტეგრაციულ პროცესს კრიზისული ხანა უდგას და ამიტომაც დაკარგა გავლენა მსოფლიოზე. ახლა კი მოსკოვი და ანკარა ცდილობენ, ამით დიდი სარგებელი ნახონ.

მოამზადა
ელზა ნაბახტეველმა

# ძლიერი რეგიონები



თელავი

### თელავის მერი მოქალაქეებს შეხვდა

თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე მოქალაქეებს შეხვდა. ტრადიციად ქცეული შეხვედრა ამჯერადაც საინტერესოდ წარიმართა.

მოქალაქეებს ქალაქის საგზაო უსაფრთხოებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, ქალაქის მერთან ერთად მოსახლეობას შეხვდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ირაკლი ლილუაშვილი და კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი ჩაბრაშვილი. მოქალაქეების განცხადებით, ქალაქში ბოლო დროს განთავსებულმა შუქნიშნებმა მოძრაობა დაარეგულირა და გადაადგილება უფრო უსაფრთხო გახადა. საზოგადოების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ასევე ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულ სანიტარიულ მდგომარეობასა და რეკრეაცული ზონების მოწყობაზე, მათ შორის ახლად რეაბილიტირებული თელავის ხევის სანაპირო ზოლზე.

### ჩოხატაურში ლიბერთი ბანკის კიდევ ერთი ახალი ფილიალი გაიხსნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გუთურში ლიბერთი ბანკის ფილიალი გაიხსნა, რომელიც სსიპ კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების, მუნიციპალიტეტის გამგეობის, გუთურის საჯარო სკოლისა და თავად ლიბეთი ბანკის ინიციატივით განხორციელდა.

პროექტის ერთ-ერთი ავტორი, პედაგოგი ნანა კალანდაძე აღნიშნავს, რომ მოქალაქეებს ბანკის ფილიალში ყველა სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ: „ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი სოფლისთვის მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. ახალგახსნილი ბანკის ფილიალით არა მხოლოდ გუთურის, არამედ მეზობელი სოფლების მოსახლეობაც ისარგებლებს“.

### ვანი – ამაღლებიდან ინაშაურის მიმართულებით ასფალტი იგება

ვანის მუნიციპალიტეტში ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარი იგება. სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 326 053 ლარით ფინანსდება.

ინაშაურის მიმართულებით 1 600-მეტრიან მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს გამგებლის პირველი მოადგილე ლაშა გიორგაძე და გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ბესარიონ ახვლედიანი ადგილზე გაეცნენ. სპეციალისტების შეფასებით, რეაბილიტაციის პროცესი ვადების დაცვით და ხარისხიანად ხორციელდება.



ჩოხატაური

### საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების კეთილმოწყობა აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯუანშერ ბურჭულაძე და ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლები საჩხერის მუნიციპალიტეტის 6 სოფლის დამაკავშირებელი 7 კმ-იანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

რეაბილიტაციის ფარგლებში მთლიანად განახლდება ასფალტბეტონის საფარი, ასევე, გათვალისწინებულია ბეტონის კიუვეტების, ბორდიურების, წყალამრიდი ლითონის მილებისა და საგზაო ნიშნების მოწყობამონტაჟი.

პროექტის დასრულების შემდეგ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების: საირხის, გორისას, მოძვის, ჯალაურთას, ქორეთისა და ჭორვილის დაახლოებით 11 ათასი მოსახლე უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილებას შეძლებს.

პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ღირებულება 4 099 000 ლარია. მშენებლობაზე 60 ადამიანია დასაქმებული, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლებში საუბნო გზებზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა გრძელდება. ამჟამად საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფლებში სავანე, გამოღმა არგვეთი, მახათაური, მერჯევი.

სოფელ შალაურში დაიგო 41 მეტრი, გამოღმა არგვეთში 115 მეტრი, მახათაურში ორ საუბნო გზაზე 58 მეტრი საფარი.

ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ სავანეში შიდასაუბნო გზაზე. სულ აღნიშნულ მონაკვეთზე უნდა დაიგოს 250 მეტრის ბეტონის საფარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე საჩხერეში, გ გზის პროფილის მოწყობით სამუშაოებს მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე გაეცნო.

### დუშეთი – „ახალგაზრდული დღეები 2016“

10-12 აგვისტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიმართა „ახალგაზრდული დღეები 2016“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათმა ადგილობრივმა ახალგაზრდამ.

პროგრამა მიზნად ისახავდა ადგილობრივი ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის წახალისებას, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობასა და ახალგაზრდული ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას.

„ახალგაზრდული დღეები 2016“ საზეიმოდ გაიხსნა ქ. დუშეთის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ფოტოგამოფენით. პროგრამის ფარგლებში, თითოეული დღე დატვირთული იყო სხვადასხვა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებით; ორგანიზებული იყო აგრეთვე სათავგადასავლო ტური – ჯომარდობა ფშავის არაგვზე. ახალგაზრდები დაბანაკებული იყვნენ სოფელ ჩინთში, კეთილმოწყობილ სასტუმრო „ანუნაკში“, სადაც დასვენებისა და გართობისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი.

ახალგაზრდული დღეები დაიხურა დიდი საზეიმო კონცერტით.



ამბროლაური

### ამბროლაურის ინფრასტრუქტურული პროექტები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროს ალეკო ქურციკიძესა და გამგეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად ღადიშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა შავრის წყალმომარაგების სისტემის მოწყობითი სამუშაოები დაათვალიერა.

გამგებელი იმყოფებოდა აგრეთვე ხოტევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში – სხარტალში, წკადისსა და ხოტევში, სადაც მოსახლეობას შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და გადაჭრის გზებზე მათთან ერთად იმსჯელა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი. გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ გამგეობის თანამშრომლებთან ერთად და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბეჟან დარახველიძესთან ერთად ჭრებალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჟოშხაში საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი.

### ქ. ფოთი – არჩილ ხორავას სახ. სასწავლებელში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო

არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის ათონელის ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია შარშან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კორპუსის გაზიფიცირების სამუშაოებს „სოკარ-ჯორჯია გაზის“ ფოთის სერვისცენტრის სამუშაო ჯგუფი ასრულებს.

მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კაკულიამ. სასწავლებლის შენობაში ბუნებრივი აირის კომუნიკაციების შეყვანა-დამონტაჟებითა და თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების ამოქმედებით სრული დატვირთვით ჩაირთვება ცენტრალური გათბობის საქვაბე დანადგარები და სასწავლებელს მრავალწლიანი პრობლემა მოუგვარდება. აღნიშნული სამუშა-

# ძლიერი საქართველოსთვის



ფოთი

ოების შესასრულებლად ქალაქის მუნიციპალიტეტმა დამატებითი ფინანსური რესურსი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყო.

### ფოთი – ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე კორპუსებში საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდა

ქალაქ ფოთში ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუმშენი“ ახორციელებს.

შიდა საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 690 ლარია გამოყოფილი. ამ ეტაპზე სამუშაოები ფარნავაზ მეფის ქუჩის N 1ა, N 3 და N 5 კორპუსებში მიმდინარეობს.

ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები 2016 წლის სექტემბერში დასრულდება.

### აბაშა – მინი სტადიონის მოწყობა ზანათის ადმინისტრაციულ ერთეულში

ზანათის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სტადიონის მოწყობის სამუშოები აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოები აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა, გამგებლის მოადგილეებმა გია კუციამ და ვახტანგ გაბელაიამ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გიორგი თოფურიამ, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა შალვა დარცმელიძემ დაათვალიერეს. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება.

### მარტვილი – მდ. აბაშის კანიონის მიმდებარედ ავტოსადგომი შენდება

მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე აბაშის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტოსადგომი შენდება. იგი გათვლილია 150 მსუბუქ ავტომობილსა და 50 ავტობუსზე. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა ღია პავილიონები, მოსაცდელი ბლოკი, სუვენირების ფარდულები, გარე განათებები, სველი წერტილები და სხვა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიის მოშანდაკების სამუშაოები. პროექტის ღირებულება 339 777 ლარი; სამუშაოს ასრულებს სს „არქეოპოლისი“; დასაქმებულია 60 ადამიანი და 20 ერთეული ტექნიკა; დაფინანსების წყარო: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან — 95 პროცენტი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან — 5 პროცენტი.

სამუშაოს დროულ და ხარისხიან შესრულებაზე მონიტორინგს გამგეობის შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ.

### ჩხოროწყუს გამგებელი საბავშვო ბაღების მენეჯერებს შეხვდა

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა, გამგებლის მოადგილე ვალერი თოდუასთან და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორ ბადრი ქებურიასთან ერთად, საბავშვო ბაღების მენეჯერებს შეხვდა.

გამგებელმა სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელებისგან მიიღო ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ბაღებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ, რისი დასრულებაც 10 სექტემბრისთვის იგეგმება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს დაიწყება.

### ხობი – ხამისკურის სამანქანო ხიდის რეაბილიტაცია

ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინასებული პროექტების განხორციელება გრძელდება. ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი საქირიო) მიმდინარეობს დაზიანებული სამანქანო ხიდის რეაბილიტაცია. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 25 370 ლარია და სამუშაოზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

### ახალციხე – საყუნეთის სოფლის სახლის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

საყუნეთში სოფლის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება.



აბაშა

სამუშაოების მიმდინარე პროცესს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე და გამგებლის მოადგილე ალექსი ზედგინიძე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს შენობის შიდა ინტერიერის მოწყობა და გარე ფასადის მოწესრიგება.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემა სრულად რეაბილიტირებულია

ქალაქ ბოლნისში დასრულდა სასმელი წყლის სისტემების სრული რეაბილიტაცია. რამდენიმე დღის განმავლობაში შპს „ჯავა“ სასმელი წყლის ახალი ქსელის დაქლორვის სამუშაოებს აწარმოებდა. შესაბამისად, ახალი სისტემიდან წყლის გამოყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის დროებით შეიზღუდა, მაგრამ ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ ბოლნისელებს წყლის პრობლემა აღარ შეექმნებათ.

### ქობულეთის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის უმთავრესი პრიორიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის უმთავრესი პრიორიტეტი სანაპირო ზოლისა და მდინარე აჭყვას კალაპოტის მოწესრიგება იქნება. პროექტის განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა საპროექტო სამსახურისა და საქართველოს მელიორაციის კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ზღვის სანაპირო ზოლი და მდინარე აჭყვას კალაპოტი დაათვალიერეს. მათ ნაპირდამცავი პროექტისა და დაზიანებული ჯებირის სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების გზებზე ისაუბრეს.

„ქობულეთში დაზიანებული ჯებირის სარეაბილიტაციო და სანაპირო ზოლის 3-კილომეტრიანი მონაკვეთის კეთილმოწყობის პროექტის შეძენას გამგეობა მიმდინარე წელს გეგმავს, ხოლო ახალი ჯებირის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობისა და მდინარე აჭყვას კალაპოტის მოწესრიგებისთვის პროექტი უკვე შეძენილია“, — აცხადებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

### ქედის გამგებელი ოქტომბრის ადმინისტრაციაში მშენებლობების მიმდინარეობას გაეცნო

ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულის მრავალფუნქციური შენობის რემონტი (სადაც საბავშვო ბაღი წელს პირველად გაიხსნება), სოფლის კლუბი, ადმინისტრაციული ოფისი და სამედიცინო ამბულატორია, მინი სპორტული სტადიონის რემონტი და საზღვრის დაცვის პოლიციის ოფისის მშენებლობა — ეს ის ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომლებიც დავით დუმბაძემ პირველ მოადგილესთან გურამ ბერიძესთან და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელთან ზვიად გოგიტიძესთან ერთად დაათვალიერა.

### შუახევი – ჯაბნიძეებში ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაბნიძეებში სანიაღვრე არხის მოწყობითი და ჯაბნიძეები-გორის უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „გორა+“ აწარმოებდა. ჯაბნიძეები-გორის გზის რეაბილიტაციაზე — 9 800 ლარი, ხოლო ჯაბნიძეები-კორძაულის სანიაღვრე არხის მოწყობაზე 6000 ლარი დაიხარჯა. დასრულებული პროექტები გამგებლის პირველმა მოადგილემ ავთანდილ დიასამიძემ ინფრასტრუქტურული ღონისძიების მიმღებ კომისიის წევრებთან ერთად დაათვალიერა

გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს უჩამბა-კვირიაულის მიმართულებითაც. სამუშაოებს აჭარის არ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს.

### ხულოში სასმელი წყლის მოწესრიგების სამუშაოები გრძელდება

ხულოში, მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული სამუშაოები პროექტ ბაბანური-ხულოს წყალსადენის გაგრძელებაა და სასმელი წყლით დაბა ხულოს და მის მიმდებარე სოფლების ნაწილს მოამარაგებს. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია წყლის მილების გაყვანა და სათავე ნაგებობების მშენებლობა. სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 872 811 ლარი გამოიყო. სამუშაოებს შპს B&B ახორციელებს.



ხულო

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ #15)

ეგვიპტის ტერიტორიაზე (არა მხოლოდ) ქალაქ აბიდოსის ტაძრის იეროგლიფებს შორის ნაპოვნია მფრინავი ობიექტის გამოსახულებები, იქვეა „ჰეროდოტეს უაფრებო ნავიც“. ტაძარი ჩვენს ერამდე 1290-1279 წელს არის აგებული ფარაონ სეტი I-ის მმართველობის დროს.

ცენტრალურ ამერიკაშიც არის შემორჩენილი თქმულება, რომ „მფრინავი ვეფხვი“ მოფრინდა და გარკვეული დროის მანძილზე ინ-



დიელებთან ცხოვრობდა. ის მათ ასწავლიდა მიწათმოქმედებასა და წერას, შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდა, რომ ახსნილი კარგად შეისწავლეს, ინდიელებს უბრძანა მაღალ მთაზე აეყვანათ. იქ კი რაღაცაში ჩაჯდა, რომელიც ჭექა-ქუხილსა და ელვაში ცაში გაუჩინარდა.

რატომ — „მფრინავი ვეფხვი“, ძნელი სათქმელია, „მფრინავი ლომი“ ბევრად ადვილი გასაგები იქნებოდა, რადგან, როგორც „რაღაც, მნიშვნელოვანი“, სხვა შემთხვევებშიც გვხვდება...

თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ „ვეფხვში“ დევს რაღაცის გასაღები, ვეფხვიც ხომ მრავლად გვხვდება?

იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მე-4 ოდაში მოხსენიებულია ვეფხვის ტყავ-ოსნად; ზოგადად, ვეფხვის ტყავოსანი გმირები დაკავშირებული არიან უძველეს პროტოქართულ სამყაროსთან; ვეფხვის ტყავოსანი ქურუმები გვხვდებიან ეგვიპტურ მისტერიებშიც; ვეფხვის ტყავოსანია ტროელი პარისიც; ვეფხვის ტყავით არიან შემოსილები ტროელი გმირებიც; დიონისეს პროცესიებს, სხვათაშორის, ვეფხვი მიუძღვის და თავად დიონისეც ვეფხვის ტყავოსანია; პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხვის ტყავოსანი ღვთაება; ვეფხვის ტყავი არის ატრიბუტი იმ ღვთაებისა, რომელსაც იცნობდნენ როგორც ინდრას ინდოეთში, ისე მარდუკს მესოპოტამიაში... მოკლედ რომ ვთქვათ, ვეფხვის ტყავი უძველესი სახეა იაფეტური კაცობრიობის, კავკასიური რასისა.

რაც შეეხება „ლომს“ — მაგალითად, ბერძნულ მითებში მოთხრობილია მფრინავ ნახევრადლომზე, რომელსაც ქალის თავი აქვს და კლდეზე ცხოვრობს. მითის მიხედვით, მას მოგზაურებისთვის რთული კითხვების დასმა სჩვეოდა და ვინაიდან სწორ პასუხს ვერ სცემდნენ ყველას ხოცავდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ლომ-ქალს ოიდიპოსი არ შეხვდა. ურჩხულმა კითხვა დაუსვა: ვინ დადის დილით ოთხზე, შუა დღეს — ორზე, ხოლო საღამოს სამზე?

ოიდიპოსმა უპასუხა რომ ადამიანი. კითხვაზე სწორი პასუხის მოსმენის გამო იმედგაცრუებული ლომ-ქალი კლდიდან გადავარდა და მოკვდა, ხოლო ოიდიპოსი, როგორც ურჩხულისგან განმანთავისუფლებელი, ხალხმა მეფედ დასვა.

ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ლეგენდა ძველეგვიპტური უნდა იყოს, ის სფინქსს უკავშირდება და ბერძნებმა, როგორც სხვისი და ბევრი რამ მიითვისეს და თავისად „გამოაცხვეს“...

სფინქსის შესახებ მხოლოდ ის დადგინდა, რომ ჩვენს ერამდე XI საუკუნეში არის შექმნილი; ასევე, იციან მიზეზი, რატომ მაინც და მაინც ლომის — როდესაც სფინქსი შეიქმნა, დედამიწა ლომის ეპოქაში ყოფილა, მაგრამ რა დანიშნულება აქვს მას, კვლავ ამოუცნობია.

მეცნიერებმა შეისწავლეს სფინქსის ადამიანური სახის ნაკვთები და როგორც დაადგინეს, დედამიწაზე დღეს მცხოვრები არც ერთი რასის წარმომადგენელს არ ჩამოჰგავს. შესაბამისად, დაასკვნეს, რომ სფინქსს აქვს იმ ცივილიზაციის წარმომადგენლის სახე, რომელიც ჩვენს ცივილიზაციამდე ცხოვრობდა დედამიწაზე და სფინქსი არის ერთგვარი „სახსოვარი“, რომელიც წინა ცივილიზაციამ ჩვენს ცივილიზაციას დაუტოვა. არსებობს წინასწარმეტყველება, რომ მაშინ, როდესაც სამყაროს აღსასრული მოახლოვდება, ქანდაკება გაცოცხლდება და თავად მოყვება ყველა საიდუმლოს შესახებ, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იქნება.

ერთია ეგვიპტის სფინქსი, მაგრამ იგივე მფრინავი ლომის ქვის სტატუა ანტარქტიდის მლვიმეების ბოლოში, სიღრმეში ჩამავალი შახტის შესასვლელთან რაღას ნიშნავს, იმავე „ლომის ეპოქას“? შახტა სადღა მიდის, ის რაღას მალავს?

ცენტრალურ ამერიკაში, იმავე მიდამოებში, იუკატამის ნახევარკუნძულზე, იქ, სადაც მაიას ტომი ცხოვრობდა, ერთ-ერთი სამარხის გახსნის დროს კედელზე აერონავტის გამოსახულება და სცენა აღმოაჩინეს იმისა, როგორ ასწავლიდა მფრინავი ადგილობრივი ტომის ბელადს ხომალდის მართვას.

ინფორმაციები მფრინავი ობიექტების შესახებ შემორჩენილია კელტურ მითოლოგიაშიც. დადგენილია, რომ ძველი ხალხები არა მხოლოდ ხედავდნენ ცაში მფრინავ ობიექტებს, ზოგი მათგანი კარგადაც იცნობდა მის აგებულებას, თუმცა ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით განვაგრძოთ.

შუმერული ჩანაწერები რომ გავათანამედროვოთ, ვიგებთ, რომ მარსსა და იუპიტერს შორის კიდევ იყო ერთი პლანეტა — ფაეთონი (დღეს ასე იწოდება) და მზიდან საკმაოდ დაშორებული პლანეტა — ნიბირუ, რომელიც ფაეთონს შეეჯახა და ნამსხვრევებად აქცია. შეჯახების შედეგად ფაეთონის ორბიტაზე ასტეროიდების სარტყელი გაჩნდა; მის სიახლოვეს არსებულ მარსს ქერქი გადასძვრა, ხოლო დედამიწაზე ჩამოვარდნილმა ფაეთონის ნაწილმა დედამიწის ქერქი გახეთქა, რამაც გააჩინა დამანგრეველი ცუნამი, რომელმაც გადარეცხა დედამიწა, ანუ წარღვნა მოხდა.

შუმერული ჩანაწერების მიხედვით ვიგებთ, რომ ატლანტები სწორედ ნიბირუდან ჩამოვიდნენ დედამიწაზე ოქროს მოსაპოვებლად 445 000 წლის წინ. არქეოლოგებმა სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე მართლაც აღმოაჩინეს საბადო რომელშიც ოქროს 100 000 წლის წინ მოიპოვებდნენ, ხოლო მოსახლეობა მხოლოდ 80 000 წლის წინ გამოჩნდა ამ ტერიტორიებზე. შუმერული ქრონოლოგიის მიხედვით, პლანეტა ნიბირუ დედამიწის სიახლოვეს ყოველ 3 600 წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა და ოქრო მიჰქონდა (ე. ი წარღვნა დედამიწაზე ჩვენს ერამდე 8 800 წლის წინ უნდა მომხდარიყო).

სიტყვა „ნიბირუ“ შუმერულად „შეხვედრის ადგილი“, „გადასვლის ადგილს“ ნიშნავს. ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე (რომელიც კოლხეთის ცივილიზაციას ეკუთვნოდა), ნაპოვნია შუმერული ცივილიზაციის (თუ ძველი კოლხური? „კოლხუა“ ერქვა ერაყის დედაქალაქს, ანმარე („ღვთის კაცი“) ერქვა მეფეს, ძვ. წ. აღით 3185 წლიდან 3120 წლებში მეფობდა.) არტეფაქტი, წრიული ფორმის თიხის ფირფიტა, რომელიც იმდროინდელი „კოსმოსური ხომალდების მართვის სახელმძღვანელოა“. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის ასევე შეიცავს ინფორმაციას შუმერების ღმერთების ნიბირუზე გაფრენის მარშუტის შესახებ.

პლანეტა ნიბირუ ძველ შუმერულ ჩანაწერებში X სიმბოლოთი არის გადმოცემული (სხვათაშორის, X სიმბოლო პირამიდის ზედხედის აღმნიშვნელია პიქტოგრამებში) და მისი მდებარეობის დადგენა ამ ჩანაწერების შესწავლით და ცილინდრის ფორმის შუმერული ბეჭდით არის შესაძლებელი, რომელიც ჩვენს ერამდე მე-5 ათასწლეულით არის დათარიღებული.

ის, რომ ნიბირუ შუმერების ფანტაზიის ნაყოფი არ არის და მართლაც არსებობს, უახლესი კვლევებით მტკიცდება. კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა მაიკლ ბრაუნმა და კონსტანტინე ბატიგინმა წარმოადგინეს მზის სისტემაში მე-9 პლანეტის არსებობის მტკიცებულება. ეს პლანეტა მზიდან უფრო მეტად არის დაშორებული ვიდრე პლუტონი. მისი




დანახვა ჯერჯერობით კვლავ შეუძლებელია, მაგრამ მისი დანახვა შესაძლებელი გახდა შორეულ კოსმოსში მცირე ზომის ციურ სხეულებზე დაკვირვებით. მეცნიერების მტკიცებით, პლანეტა X-ის მასა დაახლოებით 10-ჯერ აღემატება დედამიწის მასას. (მ. ბრაუნისა და კ. ბატიგინის კვლევები დეტალურად არის გამოქვეყნებული **Astronomical L Journal** -ში).

ეს ყველაფერი — კარგი, მაგრამ კოლხებს რა კავშირი ჰქონდათ ცასთან, რა ცოდნას ფლობდნენ, ვის უშენებდნენ ენერგიის წყაროებს, როცა ძველი კოლხური ცივილიზაცია ყველა სხვა ცივილიზაციაზე დიდი ხნით ადრე იყო, კვლავ საიდუმლოებითაა მოცული...

როგორც ითქვა, ეგვიპტის პირველი ფარაონის, ნარმერის ანუ მენესის სატახტო ქალაქი თიისი იყო (ზემო ეგვიპტეში), მაგრამ ქვემო ეგვიპტესთან ბრძოლის პერიოდში მისი ძირითადი ადგილსამყოფელი მემფისი გახდა, რომელიც კაიროდან 15 კმ-ში მდებარეობდა. VI დინასტიის დროს ქალაქს (სამეფოს) ეწოდა „მენფე“ („მენესის უმშვენიერესი სამყოფელი“); კოპტურ ენაში ქალაქს უწოდეს „მეფსის“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 18-19 წლის მონარქის თუთანჰამონის აკლდამა ძველი ფივის ახლოს, (გარდაიცვალა თითქმის 3300 წლის წინ), რომლის ერთ „ოთახში“ ოქროს 100-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა, რომელსაც კარებიც ოქროსი ჰქონდა. იდგა ოქროს კიდობანი, რომლის სიგრძე 5 მეტრი, სიგანე 3.70 სიმაღლე კი 2.73 მეტრი იყო. კიდობნის დაშლას 84 დღე მოანდომეს. კიდობანში იყო ახალგაზრდა ფარაონის 1.85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება.. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 6 წელზე მეტხანს გაგრძელდა 1922 წელს დასრულდა. სამუშაოების მწარმოებელი ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი წერდა, რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონის სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე“ ინახებოდა? აქ დამარხული 27 მონარქიდან ტუტანჰამონი ხომ ყველაზე უმნიშვნელო მმართველი იყოო... უმთავრესი კი ის არის, რომ მთელი ის სამკაულები, რაც „ოთახში“ აღმოჩნდა, კოლხური წარმომავლობის იყო, როგორც ოქრო, ისე — სტილი...

ცნობილია ისიც, რომ ძველი კოლხები ცხოვრობდნენ პირინეის ნახევარკუნძულზე, ბაბილონში, სირიაში და სხვაგან. ზოგი მკვლევარი (ჰეროდოტეს „ჩვენების მსგავსად“) იმასაც ამბობს, რომ ქიმეთი (ეგვიპტე) კოლხური ქვეყანაა და ეგვიპტელები და კოლხები ერთი ხალხი იყო. საინტერესოა, ხომ არ არის რაიმე სხვა საიდუმლო ჰეროდოტეს ნათქვამში როდესაც კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა, ნათესავებად თვლიდა?

(გაგრძელება იქნება)

# BLACK SEA ARENA არის ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში ბოლო წლების ყველაზე პოზიტიური მოვლენა

**Black Sea Arena**-ს ტერიტორია 6 ჰა-ზეა გაშლილი. ულამაზეს პარკთან ერთად, საკონცერტო დარბაზის სიახლოვეს კეთილმოწყობილია 2000 ავტომობილის ავტოსადგომი. დარბაზის ყველაზე საინტერესო დეტალი სახურავია, რომელიც დისტანციურად იხურება 10-15 წუთში.



დეტალებზე სასაუბროდ **Black Sea Arena**-ს ინჟინერ-კონსტრუქტორს **დავით ფილაურს** შევხვდით.

**— ბატონო დავით, როგორ შეიქმნა Black Sea Arena? როგორც ვიცი, „ელიტა ბურჯს“ მნიშვნელოვანი მონაწილეობა აქვს მიღებული დარბაზის კონსტრუირებაში.**

— შენობის ლითონის კონსტრუქცია მთლიანად „ელიტა-ბურჯში“ დამზადდა. მე გახლდით ე. წ. თანმხვედრი კონსტრუქტორი.

შენობა დაპროექტებულია გერმანული ფირმა „დრაი არხიტექსის“ მიერ. თუმცა რამდენადმე განსხვავებული კონსტრუქცია შემოგვთავაზეს. ჩვენ გავუკეთეთ შენობას მოძრავი სახურავები. გერმანულ პროექტში შენობა „ტენტით“ უნდა გადახურულიყო. არ იქნა, როგორც ჩანს, გათვალისწინებული ბუნებრივი პირობები — ქარი, წვიმა, თოვლი. მოხდა ისე, რომ საერთო გადაწყვეტილება მიიღეს „ელიტა-ბურჯმა“ და კომპანია „ქართუმ“ და გადახურვა ტექნიკურად შეიცვალა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ხელახლა ნულიდან დავაპროექტეთ შენობა. დიზაინი თითქმის იგივე დარჩა, ოღონდ კონსტრუქციულად შეიცვალა ბევრი რამ.

წლეულს უხვი ნალექი მოვიდა შეკვეთილში თოვლის სახით და ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში მყოფმა სახურავმა გაძლო, ასე რომ, ჩვენს გულმოდგინებას უკვალოდ არ ჩაუვლია.

**— რამდენი ხნის გამძლეობა ჰქონდა გერმანული პროექტის მიერ შემოთავაზებულ „ტენტს“ და რამდენ ხანს გაძლებს თქვენი მოძრავი სახურავი?**

— „ტენტი“ ყოველ 5 წელიწადში უნდა გამოცვლილიყო. წელიწადში 2 მლნ ევრომდე სჭირდებოდა ტენტიან სახურავს მომსახურება, ჩვენს კონსტრუქციას არ სჭირდება ასეთი დიდი თანხა, უბრალოდ, აუცილებელია პერიოდულად მისი გარეცხვა.

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ საკუთარი ხელით — „ელიტა-ბურჯის“ საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა, შემდეგ შეამოწმეს უნგრელმა ექსპერტებმა, საერთაშორისო ექსპერტების ბიუროც ჩამოვიდა გერმანიიდან — რამდენად საიმედო და გამძლე შეიძლებოდა ყოფილიყო დარბაზი. ყველაფერი საუკეთესოდ გაკეთებული აღმოჩნდა.

**— თუ ასეთი კარგი რამეების კეთება შეგვიძლია, უცხოელებს რატომ ვთხოვთ, დაგვიპროექტონ შენობები?**

— როცა ასეთი გრანდიოზული ტიპის შენობა იგება, როგორც წესი, უცხოეთიდან მოჰყავთ სპეციალისტები, ჯერ ერთი, სახელია, რეკლამა და ა. შ. საქართველოში საუკეთესო არქიტექტორები გვყავს. ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია.

**— რა რაოდენობის მაყურებელზეა გათვლილი დარბაზი?**

— სტანდარტულ რეჟიმში 6500 სტუმარი ეტევა. განსაკუთრებულ შემთხვევებში სცენის წინ დამატებით სკამები დამონტაჟდება და დარბაზში 8700 ადამიანი თავისუფლად მოთავსდება. ადგილები განსაზღვრულია შეზღუდული შესძლებლობების პირებისთვისაც.

დარბაზში შესაძლებელია გაიმართოს მასშტაბური სპორტული ღონისძიებიც, თვით ფიგურული სრიალის შეჯიბრებებიც კი.

უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ყველაზე წარმატებული მშენებლობა საქართველოს ისტორიაში, რამდენადაც ყველაფერი გაკეთდა ნორმირებულად, გეგმის მიხედვით, არავინ დაზარალებულა, არავინ დაშავებულა.

საერთო ჯამში კი შემიძლია გითხრათ, რომ **Black Sea Arena** არის ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში ბოლო წლების ყველაზე პოზიტიური მოვლენა.

**ანა ვადაჭკორია**





# ვირტუალური ძროხები... ნაცებისთვის!

არსებობს სპორტის ასეთი სახეობა — „ბრძოლა წესების გარეშე“. სახელის მიუხედავად, ორთაბრძოლების დროს არსებობს გარკვეული წესები, რომელთა დაცვა ყველა სპორტსმენისთვის სავალდებულოა და თუ ვინმე ზღვარს გადააბიჯებს, ისჯება. სამწუხარო, მაგრამ ფაქტია, საქართველოში პოლიტიკა ბრძოლის ველად იქცა, სადაც ყველაფერი დასაშვებია, ყველაფერი მოსულა. განსაკუთრებული პრივილეგიებით ნაცსექტანტები და მათი სატელიტი პარტიები სარგებლობენ.

საქართველოში სიცრუის ტირაჟირებაში სისხლიანი ნაცსექტანტების რეჟიმის და მათი სატელიტი პარტიები ლიდერობენ. მათ ისეთი უშრეტი ფანტაზია აქვთ, თვით მოლა ნასრედინსაც კი შეშურდებოდა.

გორში მაჟორიტარ კანდიდატად ნაცსექტანტებმა ერთობ ოდიოზური ფიგურა ბადრი ბასიშვილი დაასახლეს. მისი „მოღვაწეობა“ შლეგი სააკაშვილის ზეობისას ყველას კარგად მოეხსენება და ამიტომ იმ „საგმირო საქმეების“ ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. ამჯერად, ბასიშვილმა „ქართული ოცნება“ მსხვილფეხა საქონლის ქურდობაში პირდაპირ დაადანაშაულა! „ქართული ოცნების“ წევრები ძროხებს გვპარავენო“, — განუცხადა ტელევიზიებს, რომლებმაც უპრობლემოდ გაუშვეს სიუჟეტი ეთერში, თანაც ისე, რომ არავის უკითხავს, თუ ჰქონდა ასეთი ბრალდების წაყენების საფუძველი.

კიდევ კარგი, ბასიშვილმა „ქართულ ოცნებას“ ქათმების, ბატების, კვერცხების ან ვაშლის ქურდობა არ დააბრალა და შედარებით „სერიოზულ“, მხსვილფეხა საქონლის ქურდობაში დაადანაშაულა. ხუმრობა იქით იყოს და, ციხეში ხალხს, რომლებიც საქონლის ქურდობაზე ზიან, „ჩლიქოსნებს“ ეძახიან. თუ თქვენ დაგავიწყდათ თქვენი ნამოღვაწარი, ნაცებო, ჩვენ ამნეზიას ნამდვილად არ ვუჩივით, ჩლიქიან-კუდიანებივით თქვენ იქცეოდით მთელი 9 წელიწადი...

კონტრაბანდის გარდა, რომელიც გორში ყვაოდა, სისხლიანი რეჟიმის პერიოდში ზონდერბრიგადების შექმნა და ხელმძღვანელობა სულ მცირე, ამორალური საქციელია. ამის გამკეთებელი პირები, რას ლაპარაკობთ, თუ იცით?

ასაკრძალი პარტიის და მათი სატელიტების გარდა, მათი ბაგაზე გამოკვებილი ე. წ. არასამთავრობოებიც გააქტიურდნენ. თურმე, ნუ იტყვით და, ფილმი „9+1“, რომელსაც გოგა ხაინდრავა იღებს, წინა ხელისუფლების დისკრედიტაცია იქნება, რაც თურმე დღევანდელი მთავრობის სირცხვილია?! ამას აცხადებს ვინმე ბესო შენგელია, რომელსაც გულწრფელად მინდა ვკითხო, შეთითხნილი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ არ იყო იმ რეჟიმის სირცხვილი? თუ ფარული ჩანაწერებია კინოშედევრები? იქამდეც მივიდნენ ნაცები, ყოფილ შსს მინისტრ კობა ნარჩემაშვილს 2003 წელს უმოქმედობაში ადანაშაულებენ. გამოდის, რომ ახლა თავადაც აქვთ პრეტენზიები, თუ რატომ მოვუშვით გადატრიალების მეშვეობით ქვეყნის სათავეში. ვერაფერს იტყვის ადამიანი, ნაცები, ამ შემთხვევაში, მართლები არიან, ხალხს არ უნდა მიგვეჩუმათებინა გადატრიალება და არ უნდა გვებოგინებინა ისინი 9 წელი.

თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ჩავარდნის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ერთხმად აცხადებდნენ, რომ სამხედრო გადატრიალების დრო წავიდა და ხალხის ნებაზეა, ვინ მოვა ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებაში. ხომ არ სურს ნაცბანდას ჩვენი ხალხის და ხელისუფლების ყურადღების მოდუნება და შემდეგ მოულოდნელი ფაქტორის გამოყენება, ეს გახლავთ საკითხავი და დასაფიქრებელი. საერთოდაც, ოქტომბერში ჩვენ, ხალხმა უნდა მოვუჩინოთ თავისი ადგილი დამნაშავე რეჟიმს და ისინი საბოლოოდ უნდა მოვიცილოთ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ჰოვარდ ჰიუზი – მფრინავი მილიარდერი

**ამ ადამიანის, მსოფლიოში პირველი მილიარდერის შესახებ, ლეგენდებს თხზავენ, წერენ წიგნებს და კინოფილმებს იღებენ. მაგრამ დღემდე მისი ცხოვრების საიდუმლოებები ვერავინ ამოხსნა...**






## ვითომ ავადმყოფი

ჰოვარდ ჰიუზი 1905 წლის 24 დეკემბერს დაიბადა მეწარმე ჰოვარდ ჰიუზი-უფროსის ოჯახში. ბიჭის მამამ თავისი ქონება საკუთარი შრომით შექმნა — ძალზე მჩქეფარე ახალგაზრდობა გაატარა ოქროს საბადოებზე. ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ საუბარი მას არ მოსწონდა.

ჰიუზი-უმცროსის დედა ალინა ქმრისგან ძალიან განსხვავდებოდა. მამა თადარიგიანი, აზარტული, რისკიანი ადამიანი იყო, ხოლო დედა — რაფინირებული, დახვეწილი ქალბატონი, რომელსაც ყველაფრის ეშინოდა — ცხოველების, ორმხრივი ქარის, ავადმყოფობების და მიკრობების... ხოლო როცა ექიმებმა უთხრეს, რომ პატარა ჰოვარდის დაბადების შემდეგ იგი ბავშვს ვეღარ გააჩენდა, მისი შიშები კიდევ უფრო გაიძლიერდა. ბავშვი სტერილური სათამაშოებით თამაშობდა, სახლში მხოლოდ ყველაზე „შემოწმებულ“ ბავშვებს უშვებდნენ და ყველაზე უმნიშვნელო ავადმყოფობაც კი ნამდვილ ტრაგედიად იქცეოდა ხოლმე.

ამგვარი აღზრდის გამო ჰოვარდ ჰიუზი რამდენადმე უცნაურ ადამიანად ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იგი ჩუმჩუმად ყიდიდა თავის სათამაშოებს და ტკბილეულს. მოგვიანებით მამამ საშუალება მისცა, ავიასპორტით დაკავებულიყო და მოზარდი დამოუკიდებლად ახორციელებდა სარისკო გაფრენებს.

მაგრამ, ამასთან, იგი ძალიან მორიდებული და მოკრძალებული იყო და საშინლად ეშინოდა დაავადებების. მან ისწავლა, როგორ ეთამაშა დედის გრძნობებზე, როცა რაიმე უნდოდა, თავს მოიავადმყოფებდა ხოლმე და დედა ყველაფერს უსრულებდა.

დაავადებების მიმართ შიში მას მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევდა, რადგან დედამისი, რომელსაც უმნიშვნელო ავადმყოფობისაც კი ეშინოდა, სწორი აღმოჩნდა — 1922 წელს იგი მსუბუქი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ ნარკოზიდან არ გამოსულა. ორი წლის შემდეგ ჰიუზის მამაც გარდაიცვალა და ახალგაზრდა სრულიად ობოლი და უზარმაზარი მემკვიდრეობის მფლობელი აღმოჩნდა.

მაგრამ, რადგან არასრულწლოვანი იყო, ჰიუზს მეურვე გამოუჩნდა. მაგრამ პირველად მაშინ გამოიჩინა ჰოვარდმა მიზანმიმართულება და მიაღწია იმას, რომ სრულწლოვანად ეღიარებინათ 20 და არა 21 წლის ასაკში.

## ჯოჯოხეთის ანგელოზები

მილიონების მიღების შემდეგ ჰიუზი ლოს-ანჟელესში გაემგზავრა. სწორედ იქ გადაწყვიტა გაეერთიანებინა თავისი ორი გატაცება — კინო და ავიაცია და თანაც ამით ფული ეშოვნა.

მან ჩაიფიქრა, გადაეღო ფილმი პირველი მსოფლიო ომისდროინდელ მფრინავებზე და თავადვე გახდა ფილმის პროდიუსერი, რეჟისორი და მფრინავიც. ფილმისთვის „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ ჰიუზმა 87 თვითმფრინავი შეიძინა, რაც 2 მლნ დოლარი დაუჯდა. ამ ფილმს სამი წელი იღებდნენ და გადაღებების დროს 3 პილოტი გარდაიცვალა. თავად ჰიუზიც დაიმტვრა და დიდი ხანი გაატარა საავადმყოფოში. „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ ეკრანებზე 1930 წელს გამოვიდა და შემოსავლების ყველა რეკორდი მოხსნა.

ამ ფილმის შემდეგ ჰიუზმა გადაიღო კომედია „პირველი ბილიკი“ და ბოევიკი „ადამიანი ნაიარევით“. უკანასკნელ ფილმს დიდხანს ჰქონდა გზა გადაკეტილი ეკრანისკენ, რადგან მასში ძალიან ბევრი „სექსი და ძალადობა“ იყო.

სკანდალებით მიიწევდა მაყურებლებისკენ ფილმი „განკიცხულნი“, ასევე ძალადობისა და ბევრი სეუქსუალური სცენის გამო. მაგრამ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ ყველა ფილმი სენსაცია ხდებოდა.

დაიკმაყოფილა რა თავისი კინემატოგრაფიული ამბიციები, ჰიუზმა გადაწყვიტა სერიოზულად დაკავებულიყო ავიაციით. ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან მან შექმნა საკუთარი ავიამშენებელი კომპანია. ამასთან, ის იყო არა მარტო ბიზნესმენი, რომელიც ყველა საქმეს თვითონ აწარმოებდა, არამედ კონსტრუქტორი და მფრინავი-გამომცდელიც. საკუთარ თვითმფრინავებზე იგი რეკორდებს ამყარებდა, 1937 წელს მან განახორციელა გადაფრენა ლოს-ანჟელესიდან ნიუ-იორკამდე მის მიერვე აგებული თვითმფრინავით, რეკორდული საშუალო სიჩქარით 332 მილი/სთ, ხოლო 1938 წელს მან 3 დღეში, 19 საათსა და რვა წუთში შემოუფრინა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოვარდ ჰიუზის ავიაკომპანია სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობდა — აგებდა თვითმფრინავებს სამხედრო დაზვერვისთვის. ერთ-ერთი მათგანის გამოცდის დროს ჰიუზი დაიმტვრა და რამდენიმე კვირა სავადმყოფოში გაატარა, სადაც დიდი დოზით მორფინსა და კოდეინს იღებდა. ექიმები მას ნარკოტიკებს აძლევდნენ, რათა გაეადვილებინათ მისი იმქვეყნად წასვლა — არავინ ფიქრობდა, რომ ასეთი საშინელი ავარიის შემდეგ ჰიუზი გადარჩებოდა. იგი გადარჩა, მაგრამ ნარკომანი გახდა — ჰოვარდს უკვე არ შეეძლო კოდეინის გარეშე ცხოვრება.

ამასთან, ნარკოტიკები თავიდან ძალიან არ მოქმედებდა და იგი კვლავ აგრძელებდა მჩქეფარე და რისკიან ცხოვრებას და კვლავ თვითონ ცდიდა თავის თვითმფრინავებს. როცა ჰკითხეს, რატომ არ ქირაობდა პროფესიონალ მფრინავს, ჰიუზმა უპასუხა: „რატომ უნდა მიიღოს სიამოვნება სხვამ და თანაც ამაში ფული გადავუხადო?“

ომის პერიოდში ჰიუზმა კიდევ რამდენიმე თვითმფრინავი ააგო, რომელთაც ყოველმხრივ დადებითი შეფასება დაიმსახურეს. ჰოვარდმა დიდი მოგება ნახა და მილიარდერი გახდა, ყველა მისი გარიგება წარმატებული იყო და უზარმაზარი მოგება დაუსრულებლად მიედინებოდა მის ჯიბეში.



50-იან წლებში ჰოვარდ ჰიუზმა შექმნა საკუთარი საქველმოქმედო ორგანიზაცია — ჰიუზის სამედიცინო ფონდი, რომელიც დღესაც არსებობს.

ჰიუზმა ფონდს გადასცა თავისი ავიაკომპანია, ამგვარად მან თავი აარიდა უზარმაზარ გადასახადებს — მისი უზარმაზარი ავიაქარხანა საქველმოქმედო ორგანიზაციად იქცა. როცა ამერიკის მთავრობა მიხვდა, რომ სხვებიც შეძლებდნენ გადასახადებისგან თავის დაღწევას, ამგვარი პრაქტიკა აკრძალა. ჰიუზმა შეძლო საჭირო ადამიანების მოსყიდვა და მისი კომპანია მაინც საქველმოქმედო ორგანიზაციად დარჩა.

## განდეგილი

ჰიუზს სერიოზული პრობლემები დაეწყო ფსიქიკასთან დაკავშირებით. იგი მიკრობებისა და დაავადებების შიშით დიდხანს ატარებდა მარტოობაში.

მომსახურე პერსონალისადმი უმკაცრესი ინსტრუქციები ჰქონდა, რაც სისუფთავის დაცვასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, მომსახურე პერსონალისადმი ასეთი მოთხოვნების მიუხედავად, თვითონ მას ეშინოდა რაიმეს შეცვლა და ტანსაცმელს, როგორც სხეულის ნაწილს ისე აღიქვამდა. იგი თვეების განმავლობაში არ იცვლიდა თეთრეულს, არ იპარსავდა, არც თმას იჭრიდა. იმ დროისთვის უფრო და უფრო ნარკოდამოკიდებული ხდებოდა — ყოველდღიურად ზრდიდა კოდეინის დოზას, რის გამოც იგი დროდადრო რეალობასთან კავშირს კარგავდა.

ჰიუზი ხალხსი არ ჩნდებოდა, რაც ამერიკაში 1971 წელს მომხდარი სკანდა-




ლის მიზეზი გახდა. ჟურნალისტმა კლიფორდ ირვინგმა ისარგებლა იმით, რომ ჰიუზი ხალხში არ ჩნდებოდა და მისი სახელით ცნობილი მილიარდერის „ავტობიოგრაფია“ დაწერა. გამწარებულმა ჰიუზმა მოაწყო პრესკონფერენცია და ირვინგი სიყალბეში ამხილა. ჟურნალისტი ორი წლით ციხეში ჩასვეს, გაზეთები კი რამდენიმე თვის მანძილზე მხოლოს ჰიუზის შესახებ ლაპარაკობდნენ და ბეჭდავდნენ მის ფოტოებს, როგორ გადაიქცა ერთ დროს შესანიშნავი ახალგაზრდა მიხრწნილ ადამიანად.

ჰოვარდ ჰიუზი 1976 წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ანდერძი ვერ იპოვეს, მაგრამ მის მემკვიდრეობაზე 400 ადამიანი აცხადებდა პრეტენზიას. რამდენიმე წლის სასამართლო გარჩევების შემდეგ მისი ფული 22 მემკვიდრეს შორის გაიყო. ისინი და მათი შთამომავლები დღესაც ჰიუზის იმპერიის მფლობელები არიან — იდუმალი ადამიანისა, რომელმაც უზარმაზარი ქონების შეკოწიწება შეძლო...

ჰოვარდ ჰიუზის კიდევ ერთი გატაცება ქალები იყო, მსახიობი ქალები. მას რომანი ჰქონდა მერილინ მონროსთან. ასევე, მას მიაწერენ სასიყვარულო ურთიერთობებს ჯინჯერ როჯერსთან, ჯეინ რასელთან, ტერი მურთან და ავა გარდნერთან.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კველიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

– ჩემმა შვილმა პირობითი სასჯელის პერიოდში ჩაიდინა ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაული და ამჟამად სასჯელს იხდის ერთ–ერთ დაწესებულებაში. როდის იქნება შესაძლებელი მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება?

– როდესაც მოიხდის ფაქტობრივად დანიშნული სასჯელის სამ მეოთხედს.

* * *

– როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

– მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**– რა შემთხვევაში შეიძლება აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ?**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 64. პატიმრობა

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

2. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

4. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

* * *

**– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?**

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება,- ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

# მხარი დაუჭირე შენი ქვეყნის ძლიერებას – შეიძინე მხოლოდ ქართული პროდუქცია!































ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com